# საერთო გაზეთი

№45 (637)
ოთხშაბათი
8 დეკემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.



## ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი საქმით უკვე დაწერა დიდი ისტორია

ეს უსაქმურები, სტვენის გარდა რომ არაფერი გაუკეთებიათ, ბიძინა ივანიშვილს ეტოლებიან...

## ნანა კაკაბაძე: თუ სახელმწიფო სააკაშვილის დანაშაულებრივ საქმეებს ჯეროვნად არ გამოიძიებს, იძულებული ვიქნებით, ჰააგის სასამართლოს მივმართოთ



# ნაციონალები თავიანთ ბელადს „გიჟის მოწმობას“ უჩალიჩებენ

ოღონდ ამის გაკეთება ისე უნდათ, რომ სააკაშვილის გაგიჟება „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს

## „მფატრავი სანდრა“



სწორია მიხეილ ცრუს მოთხოვნა: ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ექვმიტანილი „მფატრავი“ სანდრა ციხეში ქმარყოფილის გვერდით უნდა იჯდეს!



## სულთან მიხოს ჰარამხანა

## დამნაშავეთა ოჯახი







## ბოროტსა სძლია კეთილმან...



გია გვიჩიანის ისტორია არის ადამიანის თავგადასავალი და ამბავი იმაზე, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა უმძიმეს ვითარებაშიც კი შეინარჩუნოს ღირსება, თუნდაც ყოველდღე სიკვდილის წინაშე იდგეს

## ევროპაში შეიძლება შობა და აღდგომა აიკრძალოს, ხოლო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი „დისნეილენდად“ გადააკეთეს



# „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის



# ნაციონალები თავიანთ ბელადს „გიჟის მოწმობას“ უჩალიჩებენ

## ოღონდ ამის გაკეთება ისე უნდათ, რომ სააკაშვილის გაგიჟება „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს

**ვახტანგ ხარჩილავა:**

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს ქართველი ხალხი თავის მცირერიცხოვან სექტასთან ჰყავს გაიგივებული და მტკიცედ სჯერა, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სულელია, იდიოტია, გონებაჩლუნგია, რომელიც ადვილად შეიძლება მოატყუო, გააბითურო, თვალში ნაცარი შეაყარო.

ის უდიდეს შეურაცხყოფას აყენებს საქართველოს, როცა აცხადებს, რომ ქართული სახელ-



მწიფოს დამფუძნებელია, რითაც ცდილობს, ხაზი გადაუსვას ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს 2003 წლამდე, ანუ „ვარდების რევოლუციამდე“, ერთი ველური ტომი ვიყავით, რომელსაც სახელმწიფო არ გაგვაჩნდა და ამან, ამ შლეგმა და ფსიქოპათმა, შეგვიქმნა.

(სხვათა შორის, მოსაზრებას, რომ ქართველი ერი ნახევრად ველური, არაცივილიზებული, უკულტურო და ტლუ ერია, რომლის მართვა მხოლოდ რკინის მათრახით შეიძლება, ევროპასა თუ დანარჩენ მსოფლიოში აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ ბატონი სააკაშვილი და მისი კნეინა სანდრა).

ისტორიას ახსოვს მკვლელები, რომლებსაც უსასტიკესი მკვლელობები ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ ყველა მათგანში მაინც იყო დარჩენილი ადამიანურობის რაღაც ნაპერწკალი, რომელიც მათთან ურთიერთობის დროს უეცრად გამოანათებდა და ამ თავისი უეცარი გამონათებით გაგაოცებდა და გაგაკვირვებდა — როგორ შეიძლება ამ მხეცში ეს ადამიანური ნაპერწკალი ენთოსო.

როგორც ჩანს, ღმერთი ბოლომდე არასოდეს ტოვებს ადამიანს, როგორი მონსტრი და ურჩხულიც არ უნდა იყოს იგი და ყოველთვის უტოვებს რაღაც შანსს სიბნელიდან უკან, სინათლისაკენ დაბრუნდეს.

სიბნელიდან სინათლისკენ დასაბრუნებელი გზა სინანულზე გადის, როცა ადამიანი თვითონ იქცევა საკუთარი თავის მიუკერძოებელ მსაჯულად და თვითონ გამოაქვს განაჩენი საკუთარი თავისთვის მის მიერ ჩადენილი დანაშაულების თუ შეცდომების გამო.

არავითარი აზრი არა აქვს, რამდენი წელი იჯდება ადამიანი ციხეში — 6, 16, 36, თუ მან თვითონ არ მოუწყო საკუთარ თავს სასამართლო და ის განაჩენი არ გამოუტანა, რასაც იმსახურებს.

თუ ეს არ მოხდა, ადამიანი თუ სინათლის იმ ნაპერწკალს არ ჩაებღაუჭა და გვირაბის ბოლოს მბჟუტავი სინათლისკენ არ დაიწყო სვლა. ის ისეთივე გამოვა ციხიდან, როგორიც შევიდა.

სააკაშვილში ადამიანურობის იმ მცირე ნაპერწკალსაც კი ვერ ვხედავ, რომელიც მკვლელებში, სადისტებსა და მოძალადეებშიც კი შეიძლება დაინახო.

სააკაშვილი ბოლომდე დაცლილია ისეთი ადამიანური თვისებებისგან, როგორიცაა სინანული, სინდისის ქენჯნა, სირცხვილის გრძნობა, სხვა ადამიანების მიმართ პატივისცემა, რიდი, კრძალვა, მორალური, ზნეობრივი მოვალეობები და ვალდებულებები.

რამდენიმე საათი ილაპარაკა მან სასამართლო პროცესებზე და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ უთქვამს ასეთი ფრაზები: „ბოდიშს ვიხდი, ასე რომ მოხდა“, „ვწუხვარ, რომ ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასეთი უბედურება დატრიალდა“, „ვნანობ, რომ რაღაც ვერ გავთვალე, რასაც ეს ტრაგედია მოჰყვა“, არ მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო“, „ძალიან მაწუხებს ეს ამბავი“ და ა. შ. და ა. შ.

არ აქვს მნიშვნელობა, ვიღაც უგნურმა და რეგვენმა ურჩია მას, ასე მოქცეულიყო თუ თვითონ გადაწყვიტა, თავის მართლების ეს გზა აერჩია, ფაქტია, რომ მან ხელიდან გაუშვა პოლიტიკური რეაბილიტაციის უნიკალური შანსი, სათანადოდ ვერ გამოიყენა ის ტრიბუნა, საიდანაც შეეძლო იმ ასიათასობით ადამიანისთვის მიემართა, რომლებიც უკიდურესად უკმაყოფილონი არიან მისი საქციელით.

ის ლაპარაკობდა საკუთარი მხარდამჭერებისთვის და არა ქართველი ხალხისთვის, არა საქართველოს მოსახლეობისთვის.

სააკაშვილის ორივე გამოსვლა, ეს იყო არასწორ აქცენტებზე აგებული წმინდა წყლის დემაგოგია, გათვლილი პრიტიმიულად მოაზროვნე დაბალი ინტელექტის ადამიანებზე, რომლებსაც თვალთმაქცი და ფარისეველი სააკაშვილი ოცი წელია ბღუჯა-ბღუჯა აყრის თვალში ნაცარს, რის შედეგადაც ეს საბრალო ადამიანები საბოლოოდ დაბრმავდნენ და ფსიქიკურად დაინვალიდდნენ.

„ნაცმოძრაობა“ დიდი ხანია პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ არის, კერპთაყვანისმცემლების სექტაა თავისი მთავარი კერპით, სააკაშვილით, გვარამიას ყაიდის შამანებით და მჩხიბავებით, სააკაშვილის მიერ თავის დროზე დაქრთამული და „დავერბოვკებული“ ე.წ. ინტელიგენციით, პროსტიტუციის დონეზე დასული ჟურნალისტებით.

საარაკო ამბავია, რომ ამ სექტას, XXI საუკუნისთვის აბსოლუტურად შეუთავსებელ ანომალიურ მოვლენას, ჯოჯოხეთის რეგინალურ ფილიალს, რომელმაც საქართველოში სისხლის ტბები დააყენა და ცხედრები ზვინებად დადგა, მფარველები და პარტნიორები ჰყავთ დასავლეთშიც, ანუ იქ, საითკენაც ხსნისა და გადარჩენისთვის მივისწრაფვით.

რუსეთში ხომ რუსეთია, მაგრამ დასავლეთშიც რუსეთია, თუ რა უბედურება ტრიალებს ამ ზნეობამორღვეულ მსოფლიოში?

●

საქართველო გაოგნებული, გაკვირვებული და გაოცებული უყურებს სააკაშვილის დანაშაულებრივ საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებს და ვერ გაუგია: **სააკაშვილს ასამართლებენ ამ პროცესებზე თუ სააკაშვილი ასამართლებს „ქართულ ოცნებას“ და მასთან ერთად იმ საქართველოს, ვინც მის მხარეს არ არის?**

სააკაშვილის მხარდამჭერები გახარებულები არიან, რადგან ჰგონიათ, რომ სააკაშვილმა თავისი მჭევრმეტყველებით ბეჭებზე დადო „ქართული ოცნებაც“ და დანარჩენი საქართველოც, თუმცა ვიღაც-ვიღაცები, რომლებსაც სიტყვების ბრახაბრუხის მიღმა დამალული ქვეტექსტებისა და მინიშნებების ამოკრეფა უყვართ, თვლიან, რომ სააკაშვილმა თავისი „ლექციის“ ძირითადი ნაწილი ჩაშვებებს დაუთმო, თანაც ამ ჩაშვებებს ტექნიკურად ისეთ მაღალ დონეზე ახორციელებდა, თუ ყურადღებით არ იქნებოდი, შეიძლება ვერც მიმხვდარიყავი, რას აკეთებდა ეს ჩაშვებაში დახელოვნებულ-დაოსტატებული კაცი.

პირველად პუტინი და ლუკაშენკო ჩაუშვა, თუმცა იმას ვერ მიხვდა, რომ ამ ჩაშვებით საკუთარი თავიც ჩაუშვა და ამ ორ ბატონთან მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრობაში ამხილა.

სააკაშვილის მონათხრობის მიხედვით ირკვევა, რომ პუტინმა, ლუკაშენკოს პირით, სააკაშვილი გააფრთხილა, პატარკაციშვილი ემზადება პრეზიდენტობისთვისო და ამანაც პრევენციული ზომები მიიღო — მომიტინგეებს დაერია და სასტიკად გაუსწორდა. მერე „იმედში“ შევარდა, დალეწა და დაანგრია იქაურობა, ჟურნალისტებს ჯერ სცემა და შემდეგ ქუჩაში გამოყარა, თუმცა სასამართლოზე მერაბიშვილს და პოლიციას გადააბრალა ყველაფერი — აზრზე არა ვარ, რა მოხდა — მე მეძინაო.

პუტინის, ლუკაშენკოს, მერაბიშვილის ჩაშვების შემდეგ ჯერი თემურ ჯანაშიაზე მიდგა — მე რომ მაბრალებთ რაღაც-რაღაცებს, მე რა ვიცი, ვინ რას წერდა ცარიელ ბლანკებზეო.

სააკაშვილს ჯერ არაფერი უთქვამს ბიძამისზე, თემურ ალასანიაზე, მაგრამ თუ დასჭირდება, არც იმას დაინდობს და ზედ შეიძლება დედამისი გიულიც მიაყოლოს, რომელმაც, როგორც ამბობენ, კაპიკების ფასად მილიონების ღირებულების ქონება ჩაიგდო ხელთ და ქ-ნ გიულის თუ დავუჯერებთ, სწორედ ის არჩენს ღარიბ-ღატაკ შვილს.

სოციალურ ქსელში ზოგჯერ გაიელვებს მოსაზრება, რომ სააკაშვილის გვერდით ციხეში უნდა იჯდეს მთელი მისი ოჯახი — დედა-გიული, ბიძა-თემური, მეუღლე-სანდრა, რადგან ეს არის დამნაშავეთა ოჯახი, რომელიც მთლიანად ჩაფლულია კორუფციაში.

**ამ ოჯახს რომ უყურებ, რწმუნდები — რაც დედაა, ის არის შვილი, რაც ბიძაა — ისაა დისშვილი, რაც ქმარია, ის არის ცოლიც.**

მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა ქართული მართლმსაჯულება ერთ დიდ საქმედ შეკრას ამ ოჯახის მიერ ჩადენილი დანაშაულები და მერე ერთი საერთო საოჯახო ციხე აუშენოს ამ კორუმპირებულ ოჯახს, მანამდე კი ენადგაკრეფილი სააკაშვილისგან ახალ-ახალ ჩაშვებებს უნდა ველოდოთ.

სააკაშვილს ჯერჯერობით იმედი აქვს, რომ მისი გავლენიანი მფარველები მალე გაათავისუფლებენ ციხიდან, მაგრამ, როგორც კი ეს იმედი გადაეწურება და მიხვდება, რომ ის მიატოვეს,











მან შეიძლება გუდას პირი მოხსნას და ამ გუდიდან ისეთი ამბები ამოალაგოს, „ვიკილიქსი“ მონაგონი იყოს...

**სააკაშვილი არ არის მხოლოდ რეგიონალური მნიშვნელობის ავაზაკი, ის „პადდელნიკია“ საერთაშორისო მასშტაბების ავაზაკებისა,** რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს ჩაშვებისკენ მიდრეკილი კაცი უცებ დიდი აღსარების ხასიათზე არ დადგეს.

როგორც შინ, ასევე გარეთ, ბევრს, ძალიან ბევრს არ აძლევს ხელს სააკაშვილი რომ ცოცხალია.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ყველამ ხელი დაიბანა და მის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება.

მან ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოიბას, რომ ამ „განსაკუთრებულ“ პატიმარს რაიმე არ მოუვიდეს და ეს ყველაფერი მერე ჩვენ არ დაგვბრალდეს.

ძალიან რთული და მძიმე მისია აკისრია დღეს საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა ისე მწყობრად და გამართულად მუშაობენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები, იმედია, ამ რთულ ამოცანას ღირსეულად გაართმევენ თავს.

●

სინანულის, როგორც განწმენდის, განახლების და ხელახლა დაბადების უნიკალურ ფენომენზე ვსაუბრობდით წერილის დასაწყისში.

სინანულია ის სასწაული, რომლითაც განგება ადამიანს შანსს აძლევს, ხელახლა შვას თავისი თავი.

სააკაშვილს, როგორც ჩანს, ეს დიდი მადლი არ არგუნა ღმერთმა.

ის ისეთი იცოცხლებს ბოლომდე, როგორიც გაჩნდა.

თუმცა იმ სასამართლო პროცესებს თუ გავიხსენებთ, რამდენიმე დეტალის გარდა, მას ისეთს არაფერს ეკითხებიან, რამაც შეიძლება სინანულის გრძნობა მოჰგვაროს და სინდიდის ქენჯნამ შეაწუხოს.

მილიარდები აქვს კაცს საქართველოდან გაზიდული და რამდენიმე უბადრუკი მილიონის გამო თავზე ნაცარს ხომ არ დაიყრის?

ან მიტინგების დარბევისა და დაწიოკების გამო რატომ ეწვევა სინანული, როცა ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიტოვებული ჯარისკაცების და მტრის პირისპირ დარჩენილი ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქის ბედზე არ შეწუხებულა.

ბოტოქსების, მასაჟების, სექსუალური ცუღლუტობებისა და სახელმწიფოს ხარჯზე ლამაზმანებისთვის ჩამორიგებული ძვირფასი სამკაულების გამო ხომ არ დაიწყებს სინანულს, როცა ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდებისა და ციხეებში ნაწამები ათასობით პატიმრის გამო ერთი კურცხალიც არ ჩამოვარდნია.

საქართველოს ტერიტორიის 20% დაკარგა კაცმა და არ უნანია. ახლა თქვენ გინდათ, მუცლის ქონის დადნობაზე დახარჯულ კაპიკებზე იდარდოს?

არ უნანიაო, კი ვამბობთ, მაგრამ, როგორც ვთქვი, ვინმე ეკითხება სააკაშვილს ამ სასამართლო პროცესებზე ისეთ რამეს, რომ ერთბაშად გულს სინანული შემოაწვეს, მუხლებზე დაეცეს და ერსა და ბერს პატიება სთხოვოს?

●

როგორც მოვლენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, სააკაშვილს მისიანები ფსიქიკური ავადმყოფის, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გიჟის „მოწმობას“ უჩალიჩებენ, ოღონდ ამის გაკეთება ისე უნდათ, რომ სააკაშვილის გაგიჟება „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს.

სააკაშვილი ცომაიას ტრაილერში რომ მიძვრებოდა და არაჟნების გვერდით სელფებს იღებდა, მაშინ ნორმალური იყო, მაგრამ ციხეში გადატანილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგ მძიმე ფსიქიკური აშლილობები დაეწყო?

— ფსიქიატრი სჭირდება, ფსიქოლოგი სჭირდება! — ხაზგასმით ამბობს სააკაშვილის პირადი ექიმი ნიკა ყიფშიძე და იგივეს იმეორებს ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი, რომელიც ვეტერანი ნაცია და „ნაცმოძრაობასთან“ მოყვრობისა და თანამშრომლობის ძალიან დიდი ხნის სტაჟი აქვს, თუმცა პირველი საგანგაშო ზარი სააკაშვილის არაადეკვატურობასთან დაკავშირებით, მაინც ნიკა გვარამიამ შემოჰკრა, როცა ტელევიზიით გამოაცხადა, მიშა კითხვებზე მთლად ადეკვატური პასუხებს არ იძლევაო.

მიშას საეჭვო ფსიქიკური მდგომარეობა „მეცნიერულ“ დონეზე ახსნა ნაციონალმა ჩალაძემ, რომელმაც სააკაშვილის ცუდად ყოფნის მიზეზად ჰოსპიტლის ეზოში მდგარი ავტომანქანა დაასახელა, საიდანაც თურმე ისეთი დასხივება ხდება სააკაშვილზე, რომელმაც შეიძლება ადამიანი ჭკუიდან გადაიყვანოს.

ასეა თუ ისეა, **ნაციონალებს ისეთი სურათის დახატვა სურთ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ აბსოლუტურად ნორმალური სააკაშვილი ჩააბარეს, „ქართული ოცნება“ კი ამ საღსალამათ კაცს ნელ-ნელა ხელოვნურად აგიჟებს.**

თქვე აფერისტო ნაციონალებო, „ქართული ოცნება“ ჩანასახშიც კი არ არსებობდა მაშინ, როცა ეს დიაგნოზი დაისვა: თქვენ ხართ ცნობილი გიჟი, ბატონო მიხეილ!

ეს სიტყვები, თუ არ ვცდები, ოცი წლის წინათ ითქვა.

კაცი ოცი წლის წინათაც ცნობილი გიჟი იყო და ამის შესახებ თქვენ ახლა გაიგეთ, ნაცებო?!

როგორც ახლახან გაირკვა, სააკაშვილი ციხეში ფსიქოტროპულ მედიკამენტებს იღებდა და ალბათ ახლაც იღებს, რაც მარიამ ჯიშკარიანმა ისევ და ისევ „ქართულ ოცნებას“ დააბრალა და ამ ამბავს ფარმაკოლოგიური წამების კვალიფიკაცია მისცა.






ვითომ არ იცის ჯიშკარიანმა, რომლის ორგანიზაციაც ნაცების დროს პენიტენციურ დაწესებულებებს „აკვირდებოდა“ და ისე კარგად აკვირდებოდა, რომ პატიმრების წამების არც ერთი ფაქტი არ დაუნახავს, რომ ციხის ადმინისტრაციას და ციხის სამედიცინო პერსონალს უფლება არ აქვს აუკრძალოს პატიმარს იმ მედიკამენტების მიღება, რომლებსაც იგი პატიმრობამდე ექიმის დანიშნულებით მოიხმარდა.

ანუ სააკაშვილი ფსიქოტროპულ წამლებს (ჯიშკარიანისვე თქმით, ძალიან მძიმე და სერიოზულ მედიკამენტებს) ციხეში შესვლამდეც სისტემატურად იღებდა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ამ ადამიანს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

ჩემი აზრით და არამარტო ჩემი, არამედ ბევრი ადამიანის აზრით, მთავარი ის კი არ არის, რამდენი წელი იჯდება სააკაშვილი ციხეში, იმ ექვს წელს კიდევ ექვს წელს დაუმატებენ თუ რაღაც მიზეზებით საერთოდ გაათავისუფლებენ ციხიდან.

ეს კი არ არის მთავარი, მთავარი ის გახლავთ, რომ სააკაშვილი ვერასოდეს დაბრუნდეს ხელისუფლებაში და მის ხელში ვერასოდეს ვერ მოხვდეს ძალაუფლება.

ძალაუფლებით შეიარაღებული სააკაშვილი უკიდურესად საშიშია ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის, არა მარტო მისი მოწინააღმდეგეებისთვის, არამედ მისი მხარდამჭერებისთვისაც, პირადად მისთვისაც და ეს რომ ასეა, ამას არც გამოძიება სჭირდება, არც სასამართლო პროცესები, არც სხვადასხვა კონსილიუმების მიერ გამოტანილი სამედიცინო დასკვნები, რადგან სახეზეა სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების დამამტკიცებელი არაერთი ფაქტი, რომლებსაც აქ არ ჩამოვთვლი, რადგან ეს ყველაფერი უამრავჯერ არის ჩამოთვლილი, დაზუსტებული და დადგენილი.

არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, რა ბრალდებებს წაუყენებს სააკაშვილს შოთაძის უწყება, ან რა განაჩენს გამოიტანს მოსამართლე ორკოდაშვილი, მიუხედავად ამ სამართლებრივი რიტუალების შედეგებისა, მთელმა ქვეყანამ იცის, რა საშინელებები აქვს ჩადენილი პატივცემულ სააკაშვილს.

რატომ სჩადიოდა ეს კაცი ამ საშინელებებს — არანორმალურია? სადისტია? პარანოიკია? შიზოიდია? ფსიქოპათია? — ეს სპეციალისტებმა გაარკვიონ და დაადგინონ — ქვეყანამ კი იმის მიხედვით გააკეთოს დასკვნა, რაც გარკვეული და დადგენილია — **ამ ადამიანის ძალაუფლებასთან მიშვება არ შეიძლება!!!**

რამდენი ადამიანიც არ უნდა უჭერდეს მას მხარს — ათასი, ათიათასი, ასიათასი, ხუთასიათასი, მაინც ურყევი და მტკიცე უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება — **ამ ადამიანის ძალაუფლებასთან მიშვება არ შეიძლება!!!**

ვინც არ უნდა დაგვიქნიოს თითი დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, ბრიუსელიდან თუ ვაშინგტონიდან, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ დემოკრატიაზე თუ სხვა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ღირებულებებზე, ჩვენ იმავე პოზიციაზე უნდა დავრჩეთ — **ამ კაცის ძალაუფლებასთან მიშვება არ შეიძლება!!!**

ხმამაღლა უნდა ითქვას ისიც, რომ, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებისკენ მოგვიწოდებს, ვინც ამ „დიადი“ მიზნისთვის იბრძვის, ის საქართველოს ყველაზე საშიში, ყველაზე დაუნდობელი მტერია.

ქვეყნის მტერია პოლიტიკურ ორგანიზაციად წოდებული „ნაცმოძრაობა,“ რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციას უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიას.

**სააკაშვილი თუ არანორმალურია, ფსიქიატრიულში გადაიყვანეთ, ხოლო ნორმალურები, რომლებიც ამ არანორმალურის ხარჯზე ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, ციხეში ჩასვით.**

ციხეშია მელიების, გვარამიების, სამადაშვილების, ხოშტარიების, ბარამიძეების, წიკლაურების, ხერხეულიძეების, დეკანოიძეების და კიდევ სხვა მრავალი უსინდისოს ადგილი, რომლებსაც ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, ოღონდ თავიანთი ეგოისტური ზრახვები აისრულონ.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, ხელისუფლების დამხობის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა — რამდენი ხანია აი, ამ რეჟიმში აცხოვრებენ ქვეყანას ნაციონალი კრიმინალები.

კრიმინალები ციხეში!

გიჟი — საგიჟეთში!

სხვა გამოსავალი ამ სიტუაციიდან არ არსებობს!

# თუ სახელმწიფო სააკაშვილის და ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ საქმეებს ჯეროვნად არ გამოიძიებს, იძულებული ვიქნებით, ჰააგის სასამართლოს მივმართოთ

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, სააკაშვილი სასამართლო პროცესზე სიტყვით წარსდგა. ოპოზიციამ ამას ისტორიული სიტყვა უწოდა. თქვენ, როგორ შეაფასებთ?**

— ზოგადად, ბოლო პერიოდში, ადამიანების ღია ლუსტრირება ხდება. ადრე, ლუსტრაციის კანონის ამოქმედებას ვითხოვდით. თუმცა, დღეს, ადამიანების ლუსტრირება უფრო აშკარად, ხილულად ხდება, ვიდრე ამას კანონი შეძლებდა. ვფიქრობ, სასამართლო პროცესის გაშუქება კარგია, რადგან ყველა ვხედავთ ყოფილი პრეზიდენტის, მისი ადვოკატების, ნაცების ნამდვილ სახეს. ამ პროცესმა სააკაშვილს ნიღაბი



ბოლომდე ჩამოხსნა. ნათლად გამოჩნდა: რას წარმოადგენს თავად ის და მისი რეჟიმიც, ასევე, ხალხი ვინც ამ ოდიოზურ ფიგურას მხარს უჭერს. დიახ, სამართლებრივი მხარის გარდა, აღნიშნულ სასამართლო პროცესზე ლუსტრირებაც ხდება.

**— თავად, მოსამართლეებისგან რა მოლოდინი გაქვთ? მიმდინარეობს 7 ნოემბრის საქმის განხილვა და ამ დროს, ბრალდებულის ადვოკატი მაშინდელი გენ.პროკურორი გვარამიაა.**

— დიახ, ამ პროცესმა ზედაპირზე ამოიტანა ის აბსურდულობა, რაც სასამართლოში ხდება. „ნაცმოძრაობა" საზოგადოებას უკიჟინებდა: სასამართლო პროცესებს ბიძინა ივანიშვილი მართავს, მას სასამართლო ჯიბეში უდევსო. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ სასამართლო ნაცების მონურ მორჩილებაში და ბულინგის ქვეშ იმყოფება. არ ვამბობ, რომ „ნაცმოძრაობის" დაკვეთას ასრულებს, მაგრამ იგი ექვემდებარება ბულინგს, რასაც ნაცები მედიისა და პოლიტიკური კრიმინალების საშუალებით სასამართლოს წინააღმდეგ ახორციელებენ. სასამართლო ამ ბულინგის მსხვერპლია. ადვოკატები როგორ იქცევიან? — უზრდელობენ და ადგილი აქვს უცენზურო გამონათქვამებს, მოსამართლე კი ვერ ბედავს ამ ქმედებების აღკვეთას, მითითებას ან მათ დაჯარიმებას, სასამართლო დარბაზიდან გაძევებას და ა.შ. სწორედ ეს არის იმის დემონსტრირება, რომ სასამართლო ნაცების მხრიდან ბულინგს არის დაქვემდებარებული. აშკარად, ჩანს: ვისი გავლენის ქვეშაა მოქცეული. აქვე, ბუნებრივია, ეჭვქვეშ დგება დაბულინგებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაც. წლებია აბსურდულ ბრალდებებს ვისმენთ: სასამართლოს ივანიშვილი მართავსო. ამ დროს, გამოაშკარავდა, რომ გვარამიასაც კი შეუძლია პროცესი მართოს. პროცესზე, ნიღბის მიღმა, დავინახეთ სააკაშვილი, რომელსაც ადამიანური ღირსებაც კი არ გააჩნია — ყველა დარბევასთან ერთად, რაც წლების მანძილზე განახორციელა, მან, ამჟამად, სცადა თავისი შვილების დედაც კი არ დაინდო და განაცხადა, რომ თანხები რაც ბიუჯეტიდან მოიპარა, სინამდვილეში, მისმა მეუღლემ სანდრამ შეჭამა, მოიხმარა და იკითხა: სანდრა რატომ არ ზის განსასჯელის სკამზეო?! მის გვერდით, აქ, მშვენივრად ვიჯდებოდიო. მსგავსი უზნეობის დემონსტრირება არ მახსენდება. ეს რომელიმე ქვეყნის პირველ პირს კი არა, უკანასკნელ კრიმინალსაც კი არ უკადრებია. და, აი, ასეთი ადამიანი იყო ქართული სახელმწიფოს სახე!!!



შემზარავი სურათი ვიხილეთ. რა მნიშვნელობა აქვს ვის მოახმარა, მთავარია, რომ ბიუჯეტის ქურდი თავად არის. საზიზღრობაა, როცა მეუღლეზე, ორი ბიჭის დედაზე ასე საუბრობ. უმეცარი, უზრდელი, არაადამიანია. მას დედის გაზრდილის არაფერი ეტყობა. საკუთარი შვილების დედაზე რას ბოდავდა, ეს არარაობა.

**— წაყენებული ბრალდებების გარდა დანარჩენი საქმეები სად არის?**

— ჩვენ, ველოდებით ახალი საქმეების წარმოებას, რაც წესით მის წინააღმდეგ პროკურატურაში უნდა იდოს. მისი დანაშაულობები ვალერი გელაშვილის ცემით და 7 ნოემბრის საქმით რომ არ ამოიწურება, ყველამ კარგად ვიცით. პირველ რიგში, გამოსაძიებელია: ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის საკითხები. ასევე, როგორ გადაერქვა კოდორს სახელი და ზემო-აფხაზეთი ეწოდა. მნიშვნელოვანია, ცხინვალის ოლქის საზღვრების საკითხი, რომელიც გაუგებარია როგორ გაფართოვდა და ახალგორს კიდევ, 150-ზე მეტი სოფელი მიემატა. რა იდგა ამ ყველაფრის უკან, რამდენად მიზანმიმართული ქმედება იყო, ხომ უნდა ვიცოდეთ. იგივე, პარლამენტის გადაწყვეტილებით კოდორისთვის სახელის შეცვლა რამდენად კავშირში იყო იმ თვენახევრიან ომთან, რამაც ტერიტორიები დაგვაკარგინა. ყველა ის პირი ვინც ამ საქმეში ფიგურირებდა, სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს და პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით აგოს. აქვე, დაუშვებელია სააკაშვილი იმ სისტემური დანაშაულობებისთვის არ გასამართლდეს, რაც 9 წლის მანძილზე მან და მისმა კრიმინალმა ხელისუფლებამ ჩაიდინა.

ჯერჯერობით, რასაც ვუყურებთ, ეს არის ფაქტების მიჩქმალვა, იმ დანაშაულობებზე ხელის დაფარება, რაც ქვეყანაში ხდებოდა და იმის მცდელობა, რომ სასტიკი დამნაშავეები მინიმალური დანაშაულობებისთვის მინიმალური სასჯელებით გასამართლდნენ, რაც საზოგადოებაში სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. პასუხი ამასაც უნდა გაეცეს: რატომ გასამართლდნენ უმნიშვნელო ბრალდებებით ვანო მერაბიშვილი, ახალაიები და არა იმ რეალური დანაშაულობებისთვის, რაც ჩაიდინეს. მოწმე ვერ იპოვეს?! — რამდენი ნაწამები, გაკოტრებული, გაკულაკებული, ქონებაწართმეული ადამიანია მათ კისერზე. თუ გსმენიათ, რომ დაისაჯა ეს თუ ის ნოტარიუსი, რომელმაც შუაღამის სამ-ოთხ საათზე მფლობელიდან ქონება სხვას გადაუფორმა. საერთოდ, მათი პასუხისმგებლობის საკითხი თუ დამდგარა?! ვფიქრობ, ეს მიზანმიმართული ქმედებაა, რათა ის სისტემური დანაშაულობები დაიფაროს, რაც სააკაშვილს და მის რეჟიმს, პირდაპირ, ამხელს. ძიება ცალკეულ ეპიზოდებზე მიმდინარეობს და არა ქვეყნის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებზე.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩვენი ორგანიზაცია, სხვა პირებთან ერთად, გამოდის შემდეგი ინიციატივით: თუ სახელმწიფო ამ საქმეებს ჯეროვნად არ გამოიძიებს, იგივე პოლიტიკას გააგრძელებს და ამ დანაშაულობებზე შესაბამისი განაჩენები არ დადგება, მაშინ ჩვენ, იძულებული ვიქნებით ჰააგის სასამართლოს მივმართოთ და მოვითხოვოთ: გასამართლდეს სააკაშვილი — პირი, რომელიც სისტემურად სჩადიოდა ისეთ ქმედებებს, რაც ფასდება როგორც ქვეყნის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები. ჯერ, საქართველოს პროკურატურას მივმართავთ და თუ ამან შედეგი არ გამოიღო, შემდგომ, ჰააგის სასამართლოში გადავინაცვლებთ. სასამართლო პროცესები, ჩადენილ დანაშაულობებთან, არაადეკვატურია. ამიტომ, ჩნდება ეჭვი, რომ ამ ბოროტი ძალის გათეთრების მცდელობა, მიზანმიმართულად ხდება. ჰააგის სასამართლომ უნდა თქვას: რა ხდებოდა საქართველოში სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის ჟამს, იყო თუ არა მისი ქმედებები სახელმწიფოს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობები. ამ საქმეს, აუცილებლად, ბოლომდე მივიყვანთ.

**— ანუ, ქართული ნიურნბერგის პროცესის მომხრე ხართ?**

— მე, სამართლიანობის აღდგენის მომხრე ვარ, მსგავსის, რაც თავის დროზე, ნიურნბერგის პროცესზე მოხდა. დიახ, მე, ისეთი სასამართლო პროცესი მინდა, რომელიც ჩემ ქვეყანას ისეთად წარმოაჩენს როგორადაც ნიურნბერგის პროცესმა გერმანია წარმოაჩინა. დღეს, გერმანია ევროპაში განვითარების, წესრიგის, კულტურის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქვეყანაა. ის ლაქა, რაც ფაშიზმმა გერმანიას მიაყენა, მან სწორედ, ნიურნბერგის პროცესით ჩამოირეცხა. გერმანელებმა ეს შეძლეს იმ სწორი, სამართლებრივი ნაბიჯებით, რაც მათ ფაშიზმის შემდგომ გადადგეს. აქედან გამომდინარე, დიახ, თუ ჩვენ, გვინდა შევდგეთ როგორც სახელმწიფო, ვიყოთ განვითარებული ცივილიზებული ქვეყნების რიგში, მაშინ ქართული ნიურნბერგის პროცესი, აუცილებლად, უნდა ჩავატაროთ და მსოფლიოს ვუთხრათ: დიახ, ჩვენ გადავიტანეთ პროვინციული ფაშიზმი, რომელიც ამ ქვეყანაში იყო, მაგრამ ამისთვის ყველა დამნაშავეს პასუხი ვაგებინეთ, ყველა დაზარალებულს დარღვეული უფლებები აღვუდგინეთ, მივეცით კომპესაციები არა ბიუჯეტის, არამედ თავად დამზარალებლების — ამ ქვეყნის დამანგრევლების ხარჯზე და ამ პროცესის მერე, უკვე, ღიად და თავისუფლად ვიწყებთ განვითარებას. რატომ არის დღეს ქვეყანაში სტაგნაცია, ეკონომიკა წინ რატომ არ მიდის? იმიტომ, რომ ეს მოღალატე ნაცები ისევ პოლიტიკაში არიან.

ვინ არის იმის წამახალისებელი, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი ხელყოფილი იყოს? — სწორედ ის კრიმინალური ბანდა, რომელიც თავისნაირ კრიმინალებს დასავლეთშიც პოულობს და ჩრდილოეთშიც. სწორედ მა-



თი მხარდაჭერით ცდილობს აქ, „ნაცმოძრაობა“ ძალაუფლებაში დაბრუნებას, ქვეყნის ღორსების ფეხქვეშ გათელვის ხარჯზე. აი, ამას უყურებს ქართველი ერი, რაც ყოვლად მიუღებელია.

სააკაშვილი, რომელიც 9 წელი ქართულ მართლმსაჯულებას ემალებოდა. ახლა, გვეუბნებიან: საკუთარი ნებით ჩაბარდაო, რაც სიცრუეა. იგი, ქვეყანაში, პროდუქტებთან ერთად, ტრაილერით შემოიპარა და კონსპირაციული ბინიდან აიყვანეს. აი, ასეთი ადამიანი გვყავდა 9 წელი მთავარსარდლად. მან თავისი სურვილით უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. ასეთ პრეცედენტს მეორეს ვერ იპოვით, რომ ქვეყნის პრეზიდენტს თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი ეთქვას. დღეს, ეს ნაძირალა, სასამართლო პროცესზე ღიად აცხადებს: უკრაინის მოქალაქე ვარო. ამას თავის ფანატიკოს სექტანტებს ეუბნება და მათ პროტესტიც არ უჩნდებათ. ამიტომ ჩნდება დღევანდელ ხელისუფლებასთან კითხვები — რას ნიშნავს ეს მიდგომა, ეს პოლიტიკა, რას ნიშნავს: ის არ არის რიგითი პატიმარიო. დედამისმა ბრძანა: მიშა ისეთ მდგომარეობაშია, განცდა აქვს, თითქოს, პატიმარიაო.ე.ი. გააზრებულიც არ აქვთ, რომ ამ დანაშაულობების ჩამდენი პირი, პატიმარია.

**— „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური სივრციდან გასვლაზე არაერთხელ გვისაუბრია. ამისთვის რამდენად საჭიროა ხელისუფლებამ ის ფინანსური ნაკადი გადაუკეტოს, რითაც ამ დრომდე, საზრდოობენ. საიდან მოდის ეს ფინანსები?**

— წადით და ნახეთ, რა შენობა ნაგებობები, მიწებია დედამისის საკუთრებაში. მაგალითად, ბალნეოლოგიური სააავადმყოფო მამამისს ეკუთვნის. გიული ალასანიასია არაერთი უნივერსიტეტი, უზარმაზარი შენობები. ნახევარი თბილისი და საქართველო მათ საკუთრებაშია. რა თანხით შეიძინა მიშამ ეს ქონებები, როცა იგი ბიზნესმენი არასდროს ყოფილა, მხოლოდდამხოლოდ, პოლიტიკაში იყო. საინტერესოა, რა ხარჯებით ცხოვრობს, საიდან ყიდულობს სასახლეებს ამერიკაში, უკრაინაში და ა.შ. საიდან ეს ქონებები თუ არა საქართველოს ბიუჯეტიდან გატაცებული თანხებით? დიახ, ეს საქართველოს ბიუჯეტიდან მოპარული თანხებია. დღეს, რით ცხოვრობს? — უკრაინაშიც ისევე იპარავს, როგორც ამას საქართველოში აკეთებდა. გარდა იმისა, რომ სისტემური დანაშაულობების ავტორია, სააკაშვილი პროფესიონალი ქურდიც არის. იპარავს ყველგან და რატომღაც, დაუსჯელი რჩება. სასამართლო, დღესაც, მონურ მორჩილებაში ჰყავს. ევროპა და ამერიკა, ალბათ, გაოცებულნი არიან იმიტომ, რომ ვერცერთ ქვეყანაში ვერ გაუბედავ მოსამართლეს იმას, რასაც მიშას ადვოკატები და თავად, სააკაშვილი სასამართლოს უბედავს. ეს არსად მომხდარა. ამას აკეთებს ეს კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ჰელენ ხოშტარიას მორიგი „ტუფტა“ პროტესტი, ანუ ძალზედ სასაცილონი



რუსეთში „განსწავლულმა“, პრაქტიკაგავლილმა და საქართველოში ერთკვირიანი შიმშილობით „გმირად“ ქცეულმა ჰელენ (ლიაკა) გოგიას ასულმან თუ ძემან ხოშტარიამ მორიგი პროტესტი გამოიგონა. ჰელენს წიგნების კითხვა არ უყვარს, ქუჩაში სირბილი, სტვენა, წითელი საღებავით წუწაობა და პოლიციელებთან ჭიდაობა ურჩევნია, ასე უფრო თავისუფლად სუნთქავს, ასე უფრო უკეთესად ხედავს სამშობლოს ნათელ მომავალს. ამას წინებზე ვიღაცამ უთხრა, საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში ბიძინა ივანიშვილის ბიოგრაფია შეუტანიათ, ბავშვებს საშინელებებს ასწავლიანო. მართალია, მას შემდეგ, რაც ქალბატონმა თუ ბატონმა ხოშტარიამ შიმშილობა შეწყვიტა და გმირის წოდება მიანიჭეს, თავს სუსტად გრძნობს, მაგრამ ამ ამბავმა ისე აღაშფოთა, სოციალურ ქსელში ასეთი რამ დაწერა (სტილი დაცულია):

„მეგობრებო, ხვალიდან და შედეგის მიღწევამდე, ვიწყებთ სხვადასხვა ფორმის პროტესტს სკოლის სახელმძღვანელოში ბელადი ბიძინას დიდების შეტანის გამო. ყველა, ვისაც ამ თემაზე გაქვთ პროტესტი გამოგვეხმაურეთ. ყველა იპოვით თქვენს ადგილს ამ პროტესტში, იქნება ბევრი ფორმით. 598642956 მოგვწერეთ დაგვირეკეთ დავირგანიზდეთ და შევუტიოთ! ეს ყველას გვეხება“.

საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ „ნაციონალებს“ წერა-კითხვა არ ეხერხებათ, სასვენ ნიშნებთან მწყრალად არიან, მათთვის მთავარი პათოსია — კბენა, ღრენა, წევა, მტვრევა!

ნახეთ, როგორი იკლიკანტური მოწოდებები აქვს გოგიევიჩს... ხვალიდანო, ანუ 6 დეკემბრიდანო, სხვადასხვა ფორმის პროტესტს ვიწყებთო, შემოგვიერთდით, „დავირგანიზდეთ“, ერთად შევუტიოთ, ეს ყველას გვეხებაო.

რატომ უნდა „დავირგანიზდეთ“, მეგობრებო?

იმიტომ, რომ თურმე 2021 წელს გამოცემულ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში თხრობა მთავრდება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებითა და ბიძინა ივანიშვილის შესახებ ინფორმაციით:

„საქართველოში დემოკრატიულ ტენდენციებს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა. ამის გამოხატულება იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც მმართველი პარტია “ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა და ოპოზიციურმა “ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი, “ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი, ბიძინა ივანიშვილი გახდა. ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, საქართველოს ევროპული კურსი არ შეცვლილა და პირიქით, ინტეგრაცია კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა“.

წიგნს 2020 წელს მიენიჭა გრიფი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

ძალიანაც კარგი, სამართლიანად მიუნიჭებიათ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ აქ ძალიან ცოტა წერია, ბიძინა ივანიშვილის პიროვნებასა და საქმიანობაზე უფრო მეტი უნდა დაწერილიყო. ისე, არ იქნება ურიგო, თუ ცალკე გამოიცემა დამხმარე სახელმძღვანელოდ და მოსწავლეებს დაურიგდებათ განა მხოლოდ ივანიშვილზე? არა, ჰელენას მამა გოგი ხოშტარიაზეც, ზვიად გამსახურდიას მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გახლდათ და ჭინჭებს რომ გადაეგო, პრეზიდენტს რომ უღალატა. საქართველოს ისტორიაში ძალიან ბევრი წერია მოღალატეებზე, უფრო ბევრი, ვიდრე გმირებზე, ქველმოქმედებსა და სიკეთის მკეთებლებზე!

ჰელენ გოგიევნასა თუ ჰელენ გოგიევიჩის გარდა ამ ამბავს აპროტესტებენ „ნაცები“, „გნაცები“, „შმაცები“ და მათთან გათანაბრებული „ძალები“... ასევე, ჭუტლექსას, ბონძღ გვარამიას და გაქსუებულ კეზერას ე.წ. ტვ-ები. გესმით, ჭუტა წერეთელი და დავით კეზერაშვილი თავიანთი მონების საშუალებით აპროტესტებენ, სასკოლო სახელმძღვანელოში ბიძინა ივანიშვილზე სიტყვა რატომ დასძარითო? ესენი აპროტესტებენ, ეს მუქთახორა მილიონერები, წუწურაქი მეშჩანები!

არა, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში რად იხსენიებაო?!

ბუკას ცოლმა ეკამ „ჭუტლექსვიზიის“ ეთერში „განათლებული“ საზოგადოება შეჰყარა, ხალხო, შეაფასეთ, რას ხედავთ ამ ამბავში, ეს ხომ წარმოუდგენელი უმსგავსობააო?



შეაფასეს, დაგმეს, საქმე გვაქვს გვიანდელი პერიოდის ფეოდალიზმთანო.

ჰელენ, ნუ ღელავ, უკვე ვთქვი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში მამაშენი გოგიაც არის შესული, შენც შეხვალ, ოღონდ ძალზედ უხეიროდ!

ეკა, თქვენ წყვილად შეხვალთ... ჯერ როგორც „ქართულ ოცნებაში“ მოფუთფუთე მატლები, შემდეგ მისი მაგინებლები, ახლა კი „ჭუტავიზიის“ „ვარსკვლავები“!

მმმმუუუუაააააჰაჰაჰაჰაჰა!

ვარსკვლავები არა, ჩემი ფეხები!

კი, მაგრამ, თქვე შეჩვენებულებო, ოდესმე შვილები და შვილიშვილები რომ გკითხავენ, სამება ვინ ააშენაო, რას ეტყვით, ცუდმა ძიამო?

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიო?

შეკვეთილში დენდროლოგიური პარკიო?

თეატრები, სკოლები, მუზეუმები და კულტურის სხვა კერები ვინ გაარემონტაო?

400-მდე ეკლესიაო?



საკონცერტო დარბაზიო?

2004 წლიდან ჯარსა და პოლიციას ვინ აცმევდა და აჭმევდაო?

ათასობით ადამიანი (სპორტსმენები, კულტურის მუშაკები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები) ვინ გადაარჩინაო?

ჰო, თუ გკითხავენ, რას უპასუხებთ, ეს ყველაფერი ვინ გააკეთა, მამაჩემმა გოგიამაო?

ან იქნებ — ჩემმა ქმარმა ბუკამ, ცხვირი რო აქ სიღნაღის „პავაროტივითაო“?

3 მილიარდი დოლარი ვინ დაახარჯა ამ ქვეყანას, ეგეც გოგიამაო?

იქნებ ჭუტა წერეთელმაო?

იქნებ აცეტებულმა მამუკა ხაზარაძემო?

მიდით, უპასუხეთ თქვენსავე შთამომავლობას... რომც არ გკითხონ, მაინც ხომ უნდა უთხრათ რამე სამების შესახებ?



ბიძინა ივანიშვილს ამის მეტი რომ აღარაფერი გაეკეთებინა, უკვე შესული იყო ისტორიაში დიდი ქველმოქმედის სახელით!

**ბიძინა ივანიშვილს მარტო სამება ეყოფოდა საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად!**

მიდით, შედით მის აშენებულ ტაძარში, სანთლები დაანთეთ, ილოცეთ, უფალს შეახსენეთ, როგორი წმინდანები ხართ, გამოდით და აგინეთ, საღამოს „ჭუჭუვიზიაში“ წამოიპლაკეთ და ამტკიცეთ, რომ ამ ადამიანს არაფერი გაუკეთებია, საერთოდ არაფერი!

ჩურჩუტნო!

**ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი საქმით უკვე დაწერა დიდი ისტორია და თქვენ ვალდებულნი ხართ, წაიკითხოთ!**

თუ არ წაიკითხავთ და მის იგნორირებას შეეცდებით, ცხოვრება მწარედ დაგცინებთ, სამუდამოდ გაგაბითურებთ, ბოლმა გაგხეთქავთ!

ესენი ხომ არიან სასაცილონი, ნინო ბურჯანაძე ამათზე უარესად მატრაბაზობს, დიდი პრეტენზიით გამოვარდა ტელევიზორში, როგორ, რანაირად, ივანიშვილი უფრო მეტია, საქართველოსთვის, ვიდრე ბურჯანაძეო?!

თქვენ გგონიათ, მამამის ანზორზე თქვა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მეფქვილეობის დარგს განაგებდა და იმ პერიოდში, 90იანებს რომ ეძახიან, ტილით გაჯერებულ პურს გვაჭმევდა, თან რიგებში გვხოცავდა? არა, ჩემ თავზე ვლაპარაკობო, ჩემზეო, გეკითხებით, განა ბიძინა ივანიშვილი უფრო მეტია, ვიდრე მეო? განა ის უფრო ძვირფასია, ვიდრე მეო? ამან ერთხელ თქვა, მარგარეტ ტეტჩერი გახლავართო და ხუმრობაში გავუტარეთ, მერე თმა „შეიკრიჭა“ მარგარეტივით, ფიზიონომიითაც „მიემგვანასავით“, რკინის ლედიც დაირქვა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, იმადვე დარჩა, რაც იმ ღამეს იყო, პარლამენტის თავმჯდომარედ რომ ვერ ამტკიცებდნენ და მერე მაინც რომ დაამტკიცეს. ახლა ოღონდაც ამან არ თქვას, ჟორჟ სიმენონი გახლავართ მაია წყნეთელის რანგშიო და აღარაფერს დავეძებ.

ჰმ... გადაირევი კაცი, ეს უსაქმურები, სტვენის გარდა რომ არაფერი გაუკეთებიათ, ბიძინა ივანიშვილს ეტოლებიან და თან პრეტენზიები აქვთ, ისტორიის წიგნში „რეიზა“ ჩაწერესო?

ვაი, თქვენს პატრონს!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# სააკაშვილი ნამდვილი მიუნჰაუზენია, ოღონდ ბოროტი მიუნჰაუზენი

*გვესაუბრება იურისტი გელა ნიკოლაიშვილი:*

**— ბატონო გელა, „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს პოლიტიკად ასაღებს. სამართლებრივი ბერკეტი ხომ არსებობს, რათა ეს ადამიანები პოლიტიკაში კი არა, განსასჯელის სკამზე ვიხილოთ?**

— რა თქმა უნდა, სამართლებრივი ბერკეტი არსებობს. იმისთვის, რომ გადატრიალების მცდელობის ავტორებმა პასუხი ჯეროვნად აგონ, საკმარისი მტკიცებულებებია საჭირო. ის, რომ კონკრეტული პირები სადღაც შეჭრას აპირებდნენ, მხოლოდ ეს, გადატრიალების მცდელობის დასამტკიცებლად, საკმარისი არ არის. რიგ შემთხვევაში ბრალის დასამტკიცებლად შეიძლება რაღაც მოცემულობა საკმარისი იყოს,



მაგრამ როცა საქმე გამამტყუნებელ განაჩენს ეხება, აქ, უკვე, მაღალი სტანდარტია საჭირო. შეიძლება გამოძიება დაიწყონ, ბრალიც წაუყენონ, მაგრამ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს. ამიტომ, ცდილობენ, თუ საკმარისი და მყარი ტკიცებულებები არ არსებობს, ისე ბრალი არავის წაუყენონ. მტკიცებულებების მოპოვება საკმაოდ რთულია თუ სპეც.ოპერაცია არ მიმდინარეობს და პირს არ უსმენენ. თუ საკმარისი მტკიცებულება არსებობს და ბრალს მაინც არ უყენებენ, მაშინ თვითონ ხელისუფლება არის ამაში, პირდაპირ, დამნაშავე. სისხლის სამართლის წესით, ეს დანაშაულის დაფარვას ნიშნავს. ამიტომ, არსებით ნიუანსებს თუ არ ჩაწვდი, რომელიც კონკრეტული საქმის მასალებში დევს, ისე ამ საკითხის გაანალიზება ცოტა რთულია.

**— ხელისუფლებისგან ხშირად გვსმენია, რომ „ნაცმოძრაობა“ ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებას ახორციელებს. შეთქმულების მუხლი ხომ არსებობს და თუ მოეპოვება გამოძიებას სათანადო მტკიცებულებები?**

— ხელისუფლების მხრიდან ეს ლირიკა, პოლიტიკური შეფასებაა. სამართლებრივი შეფასება უფრო რთულია, რადგან საჭიროა, ისევ და ისევ, მტკიცებულებები, მოწმეები, დოკუმენტები. ეს ყველაფერი უნდა შეჯერდეს.

**— სააკაშვილს 9 მილიონის გაფლანგვას ედავებიან. სხვა ბრალეულობები სად არის ან რატომ 9 მილიონი და არა მოპარული 16 მილიარდი?**

— შეუძლებელია, სააკაშვილმა ამ საქმიდან თავი დაიძვრინოს. თუნდაც, ავიღოთ, ჯარის გამოყვანა, ტელევიზიაში შეჭრა, მისი დაკეტვა, რაშიც წარმოუდგენელია სააკაშვილი ჩარეული არ ყოფილიყო. მის გარდა, ჯარის გამოყვანაზე უფლებამოსილება, სხვას არავის ჰქონდა. აქ, ბრალის დამტკიცება რთული სულაც არ არის. რაც შეეხება მეორე — 9-მილიონიანი პიჯაკების საქმეს, მას საიდუმლო გრიფი ედო და ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ არ ხდებოდა. მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ საქმეს საიდუმლო გრიფი, სწორედ, სააკაშვილმა დაადო, აშკარაა — ხარჯების გაწევა მისი თანხმობით, ხელმოწერით მოხდა. ასე, რომ ამის დამტკიცება რთული არ არის. გაცილებით ძნელი იყო ბრალის დამტკიცება იმ ორი საქმის წარმოებისას, რაზეც განაჩენი, უკვე, გამოტანილია. ეს გახლავთ გელაშვილის ცემისა და გირგვლიანის მკვლელების შეწყალების საქმეები, ვინაიდან იქ, პირდაპირი მოწმეები არ არსებობდნენ. მაგალითად, გელაშვილის ცემის საქმეზე მოწმეები გახლდათ ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი, რომლებმაც თქვეს: ჩვენ, გავიგეთ მხოლოდ ის, რომ სააკაშვილმა გელაშვილის ცემა ვიღაცას დაავალაო. ანუ, საქმეში პირდაპირი მოწმეები არ არსებობდნენ. პირდაპირი მოწმე შეიძლებოდა ყოფილიყო ვანო მერაბიშვილი ისევე, როგორც მეორე — გირგვლიანის მკვლელების შეწყალების საქმეში პირდაპირი მოწმე შეიძლებოდა ყოფილიყო, მხოლოდ, დათა ახალაია. ამ შემთხვევებში, ბრალის დამტკიცება უფრო რთული იყო. ამჟამად მიმდინარე საქმეებზე კი ბრალის დამტკიცება რთული არ არის იმიტომ, რომ მტკიცებულებები ბევრია. რაც შეეხება კითხვას — რატომ 9 მილიონი და არა 16 მილიარდი, როგორც ჩანს, დანარჩენი ვერ დაუმტკიცეს ან არ ეცადნენ. შესაძლოა, სათანადო კვალიფიკაცია და მონდომებაც არ აქვთ.

**— სხვა საქმეებზე, რაზეც გამოძიება ჯერ არ მიმდინარეობს, რამდენად რთულია ბრალის დამტკიცება. თუნდაც, წამების, არაადამიანური მოპყრობის, ქონების მიტაცების, ბიზნესის რეკეტის, მკვლელობების და ა.შ.?**

— დიახ, ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ იგი ძირითადად, ამ საქმეებში ჩართული, ინფორმირებული იყო. ზოგ შემთხვევებში ბრძანებებსაც იძლეოდა, მაგრამ ამას დამტკიცება ხომ უნდა. მარტო ის, რომ მოდი, ამ საქმეზე გამოძიება დავიწყოთ, ასე არ ხდება. ვთქვათ, საქმე სასამართლომდე მივიდა. ვინ გამოვა მოწმედ, რომ სააკაშვილმა უბრძანა შარაძის, თეთრაძის ან სხვათა მკვლელობები?! ყოველივეს დამტკიცება ხომ უნდა. მაგალითად, ვანო მერაბიშვილს, თითქმის, ყველა საქმესთან დაკავშირებით შეუძლია მოწმედ გამოვიდეს, მაგრამ მოიქცევა ასე? — არა, ხომ. იმ საქმეებზე, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, იგივე შარაძის, შავაძის და სხვათა მკვლელობები, ვიმეორებ, მოწმედ ვინ უნდა გამოვიდეს?

**— სამაჩაბლოზე, კოდორის ხეობაზე რას იტყვით, ამ შემთხვევაში სასამართლოს გააჩნია სათანადო მტკიცებულებები და რატომ არ აღძრულა ჯერ კიდევ საქმე?**

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, საქმის აღძვრას რუსეთიდან გამომდინარე ერიდებიან. რეალურად, რა თქმა უნდა, ამ საქმეში არსებობს ძალიან დიდი საფუძვლები, რათა სააკაშვილს ბრალი წაუყენონ ომის დაწყებაში, მერე, არასწორად წარმართვაში, მის წაგებაში, შემდგომ ხალხის მიტოვებაში და ბოლოს ამ ტერიტორიების დაკარგვაში.



**— სასამართლო პროცესის შემდეგ, ბევრ ადამიანს დარჩა განცდა, რომ მოსამართლეები ისევ ბრალდებულის მორჩილებაში არიან. თქვენ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— რა თქმა უნდა, სრულიად არასასიამოვნო საყურებელი გახლდათ სასამართლოს ბულინგი და მოსამართლეების პასიური პოზიცია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ბრალდებულებს ეფერებიან და მერე, ძალიან მკაცრი განაჩენი გამოაქვთ. ეს დამოკიდებულია მტკიცებულებების რაოდენობასა და სიმყარეზე. ვიმეორებ, ამ შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მიუხედავად მათი განწყობისა ბრალდებულის მიმართ, წესით არ უნდა გაუჭირდეთ.

**— გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ, სააკაშვილი, კვლავ, ციხეში დაბრუნდება. მერე რა უნდა ქნას, ისევ, შიმშილობას დაიწყებს?**

— მეორედ შიმშილობის გამოცხადებას არავითარი ეფექტი არ ექნება, მით უმეტეს, რომ მისი მომხრეების აქტიურობა დაღმავალი ხაზით მიდის. არ მგონია, მეორედაც ამ გზას დაადგეს, ერთ მდინარეში ორჯერ აღარ შევა.



**— ბატონო გელა, სააკაშვილის წამების, არაადამიანური მოპყრობის „ფაქტებზე“ რას იტყვით?**

— რა უნდა ვთქვა: მეღიმება. იმიტომ, რომ საკუთარ თავს თავად ამხელს. რას ეძახის წამებას — ოთხმა პირმა ხელში რომ აიყვანეს და პალატაში ისე შეიყვანეს?! ეს არის წამება?! მისთვის თითი არავის დაუკარებია. მაშინ, რაც მის ციხეებში ხდებოდა, იმას რა ერქვა! რატომ ჰგონია, რომ ხალხს აღარაფერი ახსოვს და ანალიზის უნარი დაკარგა!

**— ბატონო გელა, რით შეიძლება ავხსნათ ის, რომ სექტის გარდა, სააკაშვილს განათლებული, ნაკითხი ადამიანებიც უჭერენ მხარს.**

— ეს, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია, მაგრამ არ მიკვირს. ეს ისტორიაში პირველი და უკანასკნელი შემთხვევა როდი გახლავთ. მათი გონება, სამწუხაროდ, ასეა მოწყობილი — მიაჩნიათ, რომ ქვეყანას დიქტატურა სჭირდება. თვლიან: დიახაც, ის ხალხი უნდა ეწამებინათ, დაეხოცათ. სამაგიეროდ, გზები ხომ დაიგო. კომუნისტებიც ამას ამბობდნენ: გზები დავაგეთ, სამუშაო ადგილები შევქმენით, კრიმინალი მოვსპეთო. ზუსტად იგივე ტექსტებია, რასაც მიშა ამბობს. ის, რომ ეს ყველაფერი ადამიანის უფლებების დარღვევის, წამების ხარჯზე ხდებოდა, ეს მისთვის და მისი მომხრეებისთვის, მეორეხარისხოვანია.

**— ზოგისთვის, მან, ისტორიული სიტყვა წარმოთქვა, ზოგისთვის, ეს, უბრალოდ, ერის შეურაცხყოფა იყო. თქვენ, როგორ აღიქვით?**

— მე, მოკლედ ვიტყვი: ეს იყო არა ისტორიული, არამედ ისტერიული სიტყვა.

სააკაშვილს აქვს ასეთი მანია — ყველა გახმაურებულ საქმეზე მთავარი როლის შემსრულებელი, ფიგურა თავად უნდა იყოს. ათას სისულელეს ამბობს, ნამდვილი მიუნჰაუზენია, ოღონდ ბოროტი მიუნჰაუზენი. ისგან აღარაფერი მიკვირს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# ბოროტსა სძლია კეთილმან...



რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „მაესტროზე“ „ნაცმოძრაობის“ ყოფილი უვადო პატიმრის გია გვიჩიანის ინტერვიუს ვუსმინე.

ეს იყო შემაძრწუნებელი ისტორია, თითქმის დაუჯერებელი, მაგრამ რეალური სიუჟეტით.

სააკაშვილის მიერ შექმნილი რეჟიმის დროს თავს გადახდენილი ასეთი ისტორიები ჩვენი მოქალაქეების დიდ ნაწილს შეუძლია მოყვეს, მაგრამ ბატონი გია გვიჩიანის მონათხრობში მნიშვნელოვანი არის ერთი და მთავარი გარემოება!..

ყველამ ვიცით, საზოგადოებას და დროს თავიანთი ხელწერით ქმნიან ადამიანები და არაა ამისთვის საჭირო ხმალჩართული ბრძოლა, ადამიანი წვრილმანშიც და მსხვილმანშიც თავის ხელწერას ტოვებს.

გია გვიჩიანის ისტორია არის ადამიანის თავგადასავალი და ამბავი იმაზე, თუ როგორ შეიძლება







ადამიანმა უმძიმეს ვითარებაშიც კი შეინარჩუნოს ღირსება, თუნდაც ყოველდღე სიკვდილის წინაშე იდგეს.

ცხადია, ბატონი გვიჩიანის მონათხრობის ილუსტრაცია არ დაგვჭირვებია მხოლოდ მისი ღირსების წარმოჩენისთვის (თუმცა არც უმაგისობაა), თუნდაც ამ ერთი ადამიანის მონაყოლიდან თვალნათლივ, ცხადად, აშკარად, დადასტურებულად ჩანს სააკაშვილის მიერ „შექმნილი“ „დიდებული“ სახელმწიფოს მთელი შინაგანი ანატომია, შიგთავსი, რომელმაც, საუბედუროდ, ათეული წლებით შეაფერხა და შეაჩერა საქართველოს სულიერი, მენტალური, თუნდაც ფიზიკური განვითარების პერსპექტივა 21-ე საუკუნის ამ კოსმოსური სიჩქარით განვითარებად მსოფლიოში.

**გია გვიჩიანი**: „სააკაშვილის ხელისუფლებამ დამაპატიმრა მხოლოდ იმის გამო, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის არასწორი გახსნა გადაეფარა.

როცა დაამტკიცეს, რომ ვიყავი სრულიად უდანაშაულო, მიიღეს ჩემი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება.

შემდეგ შეცვალეს გეგმა და მომისაჯეს 11 წელი. აქედან 10 წელიწადი ვიყავი მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში. 4 წელიწადი ვიმყოფებოდი ჩვენი ქვეყნის ყველაზე სასტიკ დამნაშავეებთან — მკვლელებთან ერთად ერთ საკანში... შემდეგ 6 წელიწადი მარტო, სამარტოო საკანში.

(თავიდან) მე ვმუშაობდი „ეი-ი-ეს თელასში“ ელექტროენერგიის შესყიდვების სამსახურში. ამასობაში „ეი-ი-ეს თელასი“ გაიყიდა „რაო-ეს“-ზე და გაყიდვიდან 10 დღეში დამაპატიმრეს — „ეი-ი-ეს თელასს“ ფინანსური ზარალი მიაყენეო. „თელასის“ ხელმძღვანელობამ მისწერა სასამართლოს, რომ არ მიუღიათ არავითარი ზარალი, თუმცა პროკურატურამ განაცხადა, რომ ნიკო ლომინაძის („ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური დირექტორი — რედ.) მკვლელობის საქმიდან გამოყოფილ ფინანსურ საქმეზე არის დაპატიმრებული გია გვიჩიანიო, თუმცა მანამდე ერთი წლით ადრე პროკურატურას ნიკო ლომინაძის საქმე გახსნილად ჰქონდა გამოცხადებული და ერთი ადამიანი დაპატიმრებულიც იყო.

ამ ამბიდან 3 წლის შემდეგ მოხდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა...

თვენახევარი სააკაშვილი სატელევიზიო სივრცეში არ გამოჩენილა.

სავარაუდოდ, ამ დროს ხელისუფლებამ დაგეგმა, რომ საქმე გაესხნათ სანახევროდ, მხოლოდ შემსრულებლები დაეპატიმრებინათ და საქმე პიარული ხერხით გადაეფარათ რამე სხვა დიდი საქმით.

6 მარტს ხელისუფლებამ გახსნილად გამოაცხადა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. იმავე დღეს საღამოს მე მირეკავს მაშინდელი მერი გიგი უგულავა და მეუბნება — მეორე დღეს კაბინეტში მივიდო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი საყოფაცხოვრებო საკითხზე.

დილას კაბინეტში შემომიცვივდნენ შს სამინისტროს თანამშრომლები. როგორც მერე გაირკვა, ისინი 200-მდე იყვნენ, ტელევიზიები და ყველა ერთ საათში მიმდინარე საინფორმაციო გამოშვებები იწყებოდა იმით, რომ მე დამაპატიმრეს ნიკო ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით...

17 მარტს სააკაშვილი შეხვდა ჟურნალისტებს და კითხვაზე, გადააყენებს თუ არა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო ვანო მერაბიშვილს, პასუხობს, რომ ვანო მერაბიშვილია ის კაცი, რომელმაც გახსნა ნიკო ლომინაძის შეკვეთილი მკვლელობა და დააპატიმრა მაფიოზი. ანუ სააკაშვილმა პასუხი გასცა ვითომ ირინა ენუქიძეს და საზოგადოებას, ნიკო ლომინაძის მკვლელობის საქმის ვითომ გახსნით, რომელიც, სინამდვილეში, არც გაუხსნიათ.

დაპატიმრების შემდეგ ჩემთან შემოდის გამომძიებელი და მეუბნება, ჩემს თავზე ავიღო ამ მკვლელობაში ირიბი მონაწილეობა და ხელი დავადო „თბილგაზის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს იგნასიო ირიბარენს, რომელიც იმჟამად ვენესუელაში იმყოფებოდა. იმ განზრახვით, რომ ირიბარენი უკვე ვენესუელაშია, მას ჩვენ არ გადმოგვცემენ, შენ გაგათავისუფლებთ, ოღონდ აღიარე, რომ ამ საქმეში მონაწილეობდიო.

მე უარი განვაცხადე.

გამომძიებელმა მითხრა, თუ არ აღიარებ, მთელ ცხოვრებას ციხეში გაატარებო. ორთაჭალის ციხეში ვიმყოფებოდი, რომ განმიცხადეს, ეტაპი გელოდებაო და გადამიყვანეს რუსთავის ციხეში, კარანტინში. მოვითხოვე, საკანში მოვეთავსებინე, რომ მარტო არ ვყოფილიყავი, მაგრამ მითხრეს, რომ გამოძიება არ აძლევდათ უფლებას, სხვა პატიმრებთან გადაყვანის. მაგრამ მაინც გადამიყვანეს, ოღონდ ისეთ საკანში, რომელიც ყველა მხრიდან იზოლირებული იყო — გვერდით კიბის ასასვლელი და საწყობები ჰქონდა ამ საკანს. საკანში შეყვანიდან რამდენიმე წუთში ჩემთან შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მითხრა, რომ იყო ამ ციხის უსაფრთხოების უფროსი, მას აქვს ჰობი, რომ არის ფსიქოლოგი და ჩემი განწყობა აინტერესებს და ამიერიდან ხშირად მომაკითხავს“.

როგორც გია გვიჩიანის მონაყოლიდან ჩანს, ვითომ ფსიქოლოგი მას მიუგზავნეს იმ განზრახვით, რომ პატიმარი უნდა მოეკლათ იმ იზოლირებულ საკანში, მერე გამოსულიყო საჯაროდ ვითომ ფსიქოლოგი და ეთქვა, რომ პატიმარს მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ, როგორც გვიჩიანი ჰყვება, მან ტელევიზიების თანდასწრებით სასამართლო პროცესზე თქვა, რომ თავის მოკვლას არ აპირებდა, მართალი იყო და თავს გაიმართლებდა, რის გამოც გეგმა ჩაუვარდათ და „ფსიქოლოგიც“ გაქრა.

**გია გვიჩიანი**: „ჩემი პატიმრობიდან 10 წლის შემდეგ გადამიყვანეს რუსთავის მე-16 ზონაში, სადაც მოადგილედ ლიპარტელიანი მუშაობდა. სვანი იყო და ვკითხე, ასეთ კაცს (ფსიქოლოგს — რედ.) თუ იცნობთ-მეთქი. მიპასუხა: ერთი თვით მოვიდა სისტემაში და უცებ გაქრა, არავინ იცის, ვინ იყო და საიდან მოვიდაო.

როგორც ჩანს, ის მკვლელობის განსახორციელებლად სჭირდებოდათ.

ამის მიუხედავად, ყოველდღე მკვლელობის მოლოდინში ვიყავი და როცა მოსამართლე ნინო სანდოძემ სამუდამო პატიმრობა გამომიცხადა, შვებით ამოვისუნთქე, ვიცოდი, რომ, აწი, აღარ მომკლავდნენ.

ახლა საუბარია, რომ ნინო სანდოძე უვადო მოსამართლედ დანიშნონ.

არ დამავიწყდება, დასკვნით სიტყვაზე რომ მივედით, უცებ ქალბატონი ნინო შეიცვალა, გაგიჟებული თვალები გაუხდა. სავარაუდოდ, წინა ღამეს უთხრეს, რომ სამუდამო პატიმრობა უნდა მოესაჯა ჩვენთვის. მან იცოდა, რომ უდანაშაულო ვიყავი და მითხრა: ერთი თხოვნა მითხარი, შეგისრულებო. ნიკა ჩემიამ, რომელსაც ლომინაძის მკვლელობა პირადად ბრალდებოდა, შაქრიანი ყავა მომიტანეთო, უთხრა. მაშინვე მოგვიტანეს ცხელი ყავა...

ციხეში წყალწყალა სუპს და თუთიყუშების საჭმელს — „სეჩკას“ გვაჭმევდნენ. ჩემიას კი ყავა უყვარდა...

ნინო სანდოძემ ამით გვითხრა: სხვა არაფერი შემიძლია, ეს შემიძლია და გავაკეთებო.

ის განიცდიდა ჩვენს მდგომარეობას.

სხვა მოსამართლეებისგანაც მახსოვს მსგავსი დამოკიდებულება...

ჩემს წინაშე იდგა საკითხი — თავისუფლება თუ სამუდამო პატიმრობა და მე მაშინ აღმოვაჩინე, რომ თავისუფლება არ არის ყველაზე დიდი ღირებულება... სამუდამო პატიმრობა ჩემი არჩევანი იყო. მე ვუთხარი კიდევაც ჩემს ადვოკატს, რომ... ვერც ჩემს თავზე ავიღებდი და ვერც სხვას დავაბრალებდი მსგავს დანაშაულს და გადამიყვანეს სამუდამო პატიმრებთან ერთად საკანში.

2006 წელი იყო და პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს, ოჯახის წევრებთან შეხვედრის მოთხოვნით.

მოვიდა ბაჩო ახალაია სპეცრაზმით, დაგვაცალკევეს სამუდამო პატიმრები და გადაგვიყვანეს თბილისის მე-7 საპყრობილეში... მოგვათავსეს ბნელ საკანში, სადაც შუქი საერთოდ არ იყო. იქ ვიმყოფებოდი 90 დღე. ამ 90 დღის განმავლობაში, ყოველ დღე შემოდიოდა 20–30 ბადრაგის თანამშრომელი და ღმუოდნენ, როგორც მხეცები... ბევრი ვიფიქრე, ვის შეიძლებოდა ეს მოეფიქრებინა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს ადეიშვილის მოფიქრებული იყო, სააკაშვილთან ერთად.

სხვა საპატიმროში ყოფილა წესი, ყოველ დილით ბადრაგს გაეღო საკნის „კარმუშკა“ და პატიმრებისთვის დედა შეეგინებინათ... ამით მათ ღირსებას ულახავდნენ“...

გია გვიჩიანი სასწაულებრივად გადარჩა. მან თავისუფლება მოიპოვა. მაგრამ რაც მთავარია, არ დაუკარგავს ღირსება, არ ჩაუშვია სხვა, ყოველ დღე სიკვდილის მოლოდინშიც კი არ უღიარებია ჩაუდენელი დანაშაული და რაც ყველაზე მთავარია, ამხელა ზეწოლის და უსამართლობის მიუხედავად, არ გაბოროტებულა და არ ადანაშაულებს უსამართლო მოსამართლეებს...

ასეთი გამონათქვამი არსებობს: სადაც არ არის სამართალი, იქ არ არის მშვიდობა.

ნაცრეჟიმის დროს სააკაშვილის „გულაგებში“ ადამიანებმა გაუძლეს უდიდეს ტანჯვას, უსამართლობას, უმძიმეს პირობებს და ისევ ზნეობრივ ადამიანებად დაბრუნდნენ ჩვენს საზოგადოებაში. ერთი ასეთი კაცია გია გვიჩიანი, მან ხმამაღლა გაიხსენა ის, რისი გახსენებაც კი უჭირს ბევრს.

მისი დრამატული თავგადასავალი იმის დასტურია, რომ ნაციონალებმა ამ პატარა კაცუნებმა, ათასგვარი კომპექსებით დაავადებულმა სადისტებმა, ბევრი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლეს ადამიანების, კაცების ბოლომდე გატეხვა და დათრგუნვა.

ის, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს ხდებოდა, ვფიქრობ, არ ყოფილა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმის სასტიკი ბუნების გამოვლინება.

ეს იყო ომი ადამიანში ადამიანურობის ჩასაკლავად, იმ ღირებულებებისა და ფასეულობათა გასანადგურებლად, რითაც ადამიანს ადამიანი ეთქმის.

„ნაცმოძრაობის“ ქმედებები, რომლებიც ზოგჯერ ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება, სწორედ ამ კუთხით და რაკურსითაც არის ყურადღებამისაქცევი.

2003 წელს დაწყებული ომი საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჯერ არ დამთავრებულა...

ამ ომში ქართველმა ხალხმაც ისევე უნდა გაიმარჯვოს, როგორც ერთმა კაცმა, გია გვიჩიანმა გაიმარჯვა...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „მფატრავი სანდრა“



**ქეთევან ზარნაძე: ის შემზარავი ამბები, რასაც ამ წერილში წაიკითხავთ, სხვებისგან კი არ მაქვს გაგონილი, საკუთარ თავზე მაქვს გადატანილი.**

●

სანდრას რატომ არ ასამართლებენ? ხარჯების დიდი ნაწილი არის სანდრასი. სიამოვნებით ვიჯდებოდი მასთან ერთად საბრალდებო სკამზე... ამ ხარჯების მეოთხედი თუ მეხუთედი სანდრასია... მაგრამ როცა სანდრას ედავებით, გაიხსენეთ, რომ სანდრამ ამ ქვეყანაში შემოიტანა ასი მილიონი ევროს გრანტები სამედიცინო სფეროში. სანდრას მეშვეობით ოთხჯერ ნაკლები ქართველი ქალი კვდება მკერდის კიბოთი, ვიდრე მანამდე... ყველა ციხის ექიმი გეტყვით, რამდენი რამ აქვს მას გაკეთებული ჯანდაცვისთვის ციხეში – ტუბერკულოზის წინააღმდეგ და ასე შემდეგ... სანდრა არ არის კორუფციონერი?! – იკითხა მიხეილ ცრუმ.

შეგახსენებთ, რომ სანდრა რულოვსი გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების პროექტზე მუშაობდა, რომელიც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის, – უკიდურესი სიღარიბით გამოწვეულ დაავადებების და ინფექციური დაავადების საკითხებს იკვლევდა.

2004 წლის ოქტომბრიდან სანდრა ელისაბედ რულოვსი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ რომელიც საქართველოში: – შიდსის, – ტუბერკულოზისა და – მალარიის „გლობალური ფონდის“ მიერ სოლიდური თანხით უზრუნველყოფილ გეგმებს ახორციელებდა.ამავე დროს ის ალმოსავლეთ ევროპაში გლობალური თანამშრომლობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზის“ ელჩი იყო. სანდრა გახლდათ აგრეთვე შობადობის მომწესრიგებელი („რეპროდუქციული“) ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო დაცვის უწყებასთან არსებობს. ის მართავდა უწყების სამინისტროს საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა აცრები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა სანდრას აღნიშნულ პერიოდში არანაირი სამედიცინო განათლება არ გააჩნდა. მან 2008 წელს საფერშლო კურსები გაიარა და ჯანდაცვის სფეროში“ ჩრდილოვანი“ მმართველის სადაავებიც უფრო მყარად ჩაიგდო ხელში...

წლების წინ სანდრას შავ საქმიანობასთან დაკავშირებით მყარ არგუმენტებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით წერილი გამოვაქვეყნე, რომელიც რამოდენიმე კვირის წინ „ტიფლის ნიუსმა“ ატვირთა თავის გვერდზე. ფრთებგაშლილი ნაცტროლები კომენტარებში წერილში მოყვანილ ფაქტებს სიცრუეს უწოდებენ და კითხულობენ თუ ეს სიმართლეა სანდრა რატომ არ მისცეს პასუხისგებაშიო?

რისი ბრალია ეს? რისი ბრალია და იმის, რომ მთავარ პროკურატურაში მყარად მოკალათებულ ადეიშვილის კადრებს 2012 წლის შემდგომ ვერცერთი მთავარი პროკურორი ვერ მოერია. ეტყობა სისხლით და ცოდვით ისე არიან ერთმანეთს შედუღებულები მხოლოდ სიკვდილი თუ დააცილებთ ერთმანეთს. **მივმართავ მთავარ პროკურორს გამოიძიონ ეგრედწოდებული სანდრას პროგრამებით დაზარალებული ყოფილი პატიმრების აღძრული და შემდეგ შეჩერებული, „თაროზე შემოდებული“ საქმეები და დღეს არსებულ გაუგებრობას ნათელი მოეფინება. მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო და ობიექტური გამომძიებელი რომელსაც „მამხილებელი“ კომპრომატებით ვერ შეაშინებენ.** „მიხეილუცოდველი“ გვარწმუნებს, რომ ადამიანებს ყველა ქვეყანაში კლავენ, მაგრამ არ მგონია ყველა ქვეყანაში მკვლელებს პრეზიდენტები მფარველობდნენ და მათი მეორე ნახევრები ორგანოებით ვაჭრობის, გაუმართლებელი ცდების და სხვა უბედურებებით იყვნენ დაკავებულები...



## სწორია მიხეილ ცრუს მოთხოვნა: ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი „მფატრავი“ სანდრა ციხეში ქმარყოფილის გვერდით უნდა იჯდეს!

სანამ წლების წინ დაწერილ წერილს გაგაცნობთ შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ქალაქ თბილისის მერიისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის დაფინანსებით, სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟით ამოქმედდა ეროვნული სკრინინგ ცენტრი და განხორციელება დაიწყო პროგრამამ, რომელმაც მიზნად დაისახა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფების ქალბატონებში ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების ადრეულ სტადიაში გამოკვლევა. ხოლო 2012 წლის დასაწყისში. საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობისა და პრევენციის ახალი პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. რომლის გახსნაშიც ელჩი ჯონ ბასი, სანდრა რულოვსი, ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნატა ავალიანი მონაწილეობდნენ.საელჩოს ცნობით, ოთხწლიან პროგრამას, რომელსაც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) განახორციელა, აშშ-ის მთავრობამ 4.4 მილიონი დოლარით დააფინანსა.სწორედ 2012 წლიდან აღმოაჩნდათ სრულიად ჯანმრთელ პატიმრებს ტუბეტკულოზის უმძიმესი „მდერ“ და „ქსდეერ“ ფორმები რომელსაც ქიმიური პრეპარატებით მკურნალობდნენ და გადარჩენილ პატიმრებს დღესაც უამრავი ჯანმრთელობის პრობლემები დაუტოვა.

### შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ

სკრინინგ პროგრამა განსაკუთრებით მძიმედ აისახა ქალ პატიმრებზე, სანდრას „სიკვდილის“ სკრინინგ ავტომანქანები ქალთა კოლონიას ხშირად სტუმრობდნენ.

რომელიმე პატიმრისთვის მკურნალობის კურსის ჩატარების შესახებ არ მსმენია.

სამაგიეროდ ერთნაირი დიაგნოზით – კიბო. კიბოს საწყისი ეტაპით პატიმარი ქალბატონების უმრავლესობას სასწრაფო წესით მიაქანებდნენ საოპერაციოდ და აჭრიდნენ საშვილოსნოს დანამატებთან ერთად.

როცა აღნიშნულმა პროცესმა მასიური ხასიათი მიიღო პატიმარმა ქალებმა დიაგნოზების შედარების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ყველას ერთი უბედურება ჭირდა. რასაკვირველია გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩატარებული ოპერაციებით სერიოზული თანხა მიედინებოდა ვიღაცის ჟულაბაში, თუმცა მაინცდამაინც საშვილოსნოებით და საკვერცხეებით რომელ გველეშაპს კვებავდა სანდრა, დღემდე გაურკვეველია...

პატიმარი ქალები სანამ აღნიშნულ საკითხზე ფიქრობდნენ, გველეშაპმა „ყაურმა“ მოინდომა და ფილტვის ოპერაციების სერიაც დაიწყო... ჯანდაცვაში დიდძალი საგრანტო დაფინანსებები შემოდიოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებიდან, „გლობალ ფონდიდან“ , „იუესაიდიდან“ და ასე შემდეგ. ამ დაფინანსებებზე მაშინ ვერავის მიუწვდებოდა ხელი სანდრა რულოვსის ჩაურევლად. რაც უნდა გენიალური აზრი ან ინიციატივა ჰქონოდა ადამიანს, ჯანდაცვაში, გამორიცხული იყო გრანტი მიეღო, თუ იგი სანდრას ინტერესებშიც არ შედიოდა. მის გარშემო მყოფი არასამთავრობოები სისტემატურად ღებულობდნენ გრანტებს, არადა ფაქტი ის იყო, რომ ჯანდაცვაში საქმე უკან მიდიოდა და არა წინ.

სხვათა შორის, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, სანდრას ფავორიტს, სანდრო კვიტაშვილს და რამდენიმე პიროვნებასაც ჰქონდათ არასამთავრობო, რომელიც გრანტით ფინანსდებოდა. ეს არასამთავრობო გრანტებს უწყვეტად ღებულობდა, მაგრამ სინამდვილეში რას აკეთებდა, ან საერთოდ აკეთებდა თუ არა რამეს, ესეც არავინ იცოდა. ერთადერთი მაღალჩინოსანი ვინც ნაციონალების დროს, ამ სამინისტროდან ციხეში წავიდა, კოკა ფრუიძე იყო და მისი დაპატიმრების ერთ-ერთ რეალურ ვერსიად, სწორედ სანდრასთან მის უთანხმოებას ასახელებდნენ. სანდრას ინტერესები საავადმყოფოების პრივატიზაციის პროცესებშიც იდო და მათი ინტერესებიც ამ დროს გადაკვეთილა.

მართალია, ფრუიძე სრულიად სხვა ფაქტის გამო დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაუსაფრდნენ და...

„100 საავადმყოფოს“ პროექტთან დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი, დღემდე არ დაწყებულა. ამის გარკვევას თუ ოდესმე ვინმე დაიწყებს, იქ აუცილებლად ამოვარდება „ქველმოქმედი“ ექსლედის ინტერესები, მაგრამ სააკაშვილი ისეთ გონორზეა და ეს ხელისუფლებაც იმდენს აბედინებს, არა მგონია ეს რომ მოხდეს.

„ტუბერკულოზის პროგრამაც“ ხომ სანდრას სახელს უკავშირდებოდა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციაში ტუბერკულოზის პროგ-



რამის წარმომადგენელი გახლდათ. საქართველოში ტუბერკულოზის მართვა რომ არ ხდებოდა ეგეც თვალნათელი იყო, რადგან ციხეებშიც და გარეთაც ტუბერკულოზი მძვინვარებდა და მისი პროფილაქტიკა და აღრიცხვა არ ხდებოდა.

ტუბერკულოზის ცენტრის გარემონტება დაავადებასთან ბრძოლის ერთი პატარა სეგმენტი იყო და მთავარი დანარჩენი გახლდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ ტუბერკულოზს ვერ, ან არ მართავდნენ, რადგან ის ატიპური ფორმები განვითარდა. ეს კი გამოიწვია არასწორმა მკურნალობამ და თანმხლებმა დაავადებებმა, რომელიც პროგრამის არასწორი მართვის შედეგი იყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ატიპური ფორმების გამოვლენის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა უფასო აღარ იყო და დიახაც რომ აქ იყო „ძაღლის თავიც დამარხული“ , ანუ ყველაფრისგან ფული კეთდებოდა ხალხის გაუბედურების ხარჯზე და ამას ყველა კადრულობდა, მათ შორის, პირველი ლედიც. თუ ამ საქმეების გამოძიება და სიმართლის გარკვევა შეუძლებელია, ხელისუფლებამ ის მაინც გააკეთოს, რომ ასეთ ადამიანებს კიდევ არ აყრევინოს ხალხისთვის თვალში ნაცარი. ბოლოს და ბოლოს ამ თემებზე ლაპარაკით მაინც. სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა, 2009 წელთან შედარებით, 50%-ით იყო გაზრდილი. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო.

სახალხო დამცველი პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტუბერკულიოზს ასახელებდა, ასევე გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ძალიან ბევრი გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულიოზის გარდა ც ჰეპატიტი აღენიშნებოდა; ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა. გიორგი ტუღუშის განცხადებით, ტუბერკულიოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა არათუ მოგვარდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში შემოაქვს სანდრას დოც და დოც+პროგრამა, ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ – როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმარი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა ანგარიშში. იმავე ანგარიშში არაერთი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში. ფილმში „ჰეროკრატია“ მეორე ნაწილი, ციხის ექიმის და ნაწამები პატიმრის შეხვედრით მთავრდება ექიმი ნაწამებ პაციენტს დაზიანებებს თვალნათლივ ხედავს, მაგრამ ფორმა 100-ში არ უფიქსირებს, სამაგიეროდ ეუბნება, რომ „ტუბი“ სინამდვილეში არა აქვს, მაგრამ სპეცზონაში უშვებს იმ იმედით, რომ იქ „აიკიდებს“ .

სანდრას „ბიზნესს“ ნაცხროვა „ნედლეულით“ დიდი მონდომებით ამარაგებდა. აღნიშნულ პერიოდში პატიმრების რაოდენობა 25.000 ზე მეტი იყო აქედან 3.000 ქალი... საქართველოს და ქართველების „სიყვარულით“ დამდნარი წყვდიადის დედოფალი სანდრა 2010 წელს როცა პატიმრების რაოდენობამ და მათმა სიკვდილიანობის ციფრმა





პიკს მიაღწია ვიზიტის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და გზად პოლონეთში შეივლის (საინტერესოა ვის და რის ხარჯზე მოგზაურობდა განუწვეტლივ) ჯანდაცვის საკითხებზე საქართველო-ამერიკის ორმხრივ კონფერენციას დაესწრება, რომელიც საქართველოს პირველი ლედის თავმჯდომარეობით გაიმართა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქალთა რუსთავის მეხუთე დაწესებულებას ხათუნა კალმახელიძე სტუმრობდა „ბანდასთან“ ერთად იმ დღეს მინისტრს დაბადების დღე ქონია და „დაღლილი“ ხათუნა პარიზში „გაუტაცებია“ პრეზიდენტს. იქ როგორ მიულოცავდა დაბადების დღეს დაქანცულ მინისტრს ვინ იცის... მე სარწმუნო წყაროდან გავიგე ეს „სათუთი“ ამბავი, რომელსაც სანდრაც აუცილებლად გაიგებდა, თუმცა ნაკლებად შეიმჩნევდა ჯაშუშობა ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს... ასე რომ ჯანდაცვის საკითხებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზეც წლების განმავლობაში ექთანი გვიწყვიტავდა, ექთანი რომელსაც ქმარი ნაცელიტის მახინჯმანებს ლამის თავზე „იმასშვებოდა“ ...2010 წლიდან 2012 წლამდე კარგად მომზადდა ნიადაგი სასჯელაღსრულების სისტემაში „ტუბის“ ახალი პროგრამით პატიმრების დასაჩმორებლად და დიდი თანხების გასათეთრებლად. ქონდა თუ არა პატიმრებს ტუბი მაინც აღრიცხავდნენ, რათა „დოცი „ და „დოც+“ პროგრამა წარმატებით შემოსულიყო ჩვენს ქვეყანაში სანდრას პატრონაჟით და ადამიანების გვამებზე და ძვლებზე სიარულით ათეულობით მილიონით შეევსო „ოჯახის“ ყულაბა. ცნობილია, რომ ტუბერკულოზის დაავადების საშიშროება იზრდება მაშინ, როდესაც იმუნიტეტი დასუსტებულია არასრულფასოვანი კვებით, სტრესებით, ქრონიკული დაავადებებით. ამიტომ ტუბერკულოზისგან დამცველი ძალების გასაძლიერებლად საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და ასე შემდეგ ასე, რომ ციხე და კოლონია ტუბერკულიოზის გასავრცელებლად და „სახეიროდ“ შესაფერისი ადგილი გახლდათ. 2012 წლის მაისში მედიის საშუალებით“ პიკასო ფერებში“ გავრცელდა ინფორმაცია თუ როგორ გახსნეს საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა ელისაბედ რულოვსმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსი, სადაც თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი კლინიკა ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მქონე პაციენტებს მოემსახურებოდა.სიამაყით განაცხადეს, რომ ცენტრი ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც აუცილებელი იყო გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 97-საწოლიანი საავადმყოფო დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობაში სპეციალური გადამზადება გაიარეს. ასევე სიამაყით განაცხადეს, რომ საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა ფუნქციონირებდა, რომლის ფარგლებშიც, დაავადების დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პაციენტები უფასოდ ისარგებლებდნენ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით და ყველაზე საინტერესო – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია – აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსდა. ტუბერკულოზით დაავადებების სტატისტიკამ ციხეებში სანდრას გააქტიურების შემდეგ მოიმატა: 2010–895 შემთხვევა; 2011–800. 2012 წელს კი 457 შემთხვევა და აღნიშნულ ორ წელიწადში 284 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი, რომლებსაც სიკვდილის წინა დღეს ან რამდენიმე საათით ადრე უშვებდნენ, რომ მიცვალებული ნაკლებად „დაწეროდათ“

„მაღალკვალიფიციურ პერსონალს“ რომ გესტაპოს სკოლა გაატარეს ფაქტია მეც კარგად მახსოვს და მამაკაც პატიმრებსაც ემახსოვრებათ „მაღალკვალიფიციური პერსონალი“ თინა მახარაძე კოორდინატორი „ ტუბიდან“ რომელიც №6 დაწესებულებაში, დამწყვდეულ საკანში პატიმრებს „დოც+“ ფარგლებში „ქსდეარს“ ქიმიოთერაპიით „მკურნალობდა“ . წარმოუდგენელია ქიმიოთერაპიით მიყენებული ტკივილების აღწერა, უჰაერობაში, შესაბამისი კვების და ყურადღების გარეშე, გაუსაძლისი ტკივილით. სანდრას ექსპერიმენტს ციხე კოლონიაში თინა მახარაძე კურირებდა. მე პირადად მქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქონდათ მცდელობა ჩემი ინფიცირების. თუმცა ჯანმრთელი ორგანიზმის წყალობით გადავრჩი. მაშინდელი სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ასათიანი დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მარწმუნებდა რომ იქსდეარით ვიყავი ინფიცირებული არსებობდა ეპიდემიის საფრთხე და საჭირო იყო ჩემი იზოლაცია და სტაციონარში კვლევის გაგრძელება. მაშინ გამიჭირდა დამეჯერებია, რომ ადამიანები ვინც მიშას და სანდრას გვერდით იდგნენ მხოლოდ ცოფიანი მხეცის ინსტიქტით მოქმედებდნენ. გამივრცელეს დეზინფორმაცია რომ ჩემი დაავადება დაფრინავდა, რომ მქონდა ფილტვზე კიბო და რამოდენიმე დღის სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ რა ემართება პატიმარს, ჯერ ერთი აღარც თავისუფლება უნდა, რადგან ოჯახის წევრები არ დააინფიციროს, ყოველდღიური ქიმიოთერაპიით დაუძლურებლ სხეულს, სულიც გათიშული აქვს და მისთვის ყველაფერი სულ ერთია იმ გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩების გარდა, რომელსაც წყვდიადის დედოფალი დატრეინინგებულ ვამპირების დახმარებით ექსპერიმენტების, გამდიდრების და მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად გაყენებს...მოკლედ მყისიერად აღმოვჩნდი სანდრას გახსნილ ნაქებ საავადმყოფოში სადაც პატიმრებისთვის სამი საკანი ყოფილ მორგის შენობაში იყო განთავსებული იქ, კიდევ ერთმა დატრეინინგებულმა ექიმმა გვარად ერისთავმა მომახსენა, რომ დაავადება რომელიც მე მჭირდა არ იკურნებოდა შეიძლება ექვსი თვე მეცოცხლა, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც. თუმცა სამი წელი უპირობოდ უნდა მიმეღო ქიმიური პრეპარატები. მითხრა რომ ფილტვები უკვე დაშლის ფაზაში მქონდა... უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღესვე მომაკითხა და კატეგორიულად მოითხოვა თოდუას კლინიკაში ჩემი გაყვანა და მაგნიტორეზონანსული კვლევის ჩატარება, დიდი ბრძოლის შემდეგ გამიყვანეს. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არათუ ფილტვის კიბო ან ტუბერკულოზი, არამედ ჯანსაღზე ჯანსაღი ფილტვები მქონდა.

(გაგრძელება იქნება)





# სულთან მიხოს ჰარამხანა

## გიჟია, ოხერი?!



გიჟია, მა რა არი? როდის იყო, ნორმალური ადამიანი ქალს მუძუს აჭამდა? როდის იყო, სანამ ქალს მუძუს მოაჭამდნენ, უწყლო ბასეინში აგდებდნენ და თან პირდებოდნენ, თუ კარგად მოიქცევი, წყალსაც ჩაგისხამთო?!

გიჟია, ოხერი?!

გიჟია, მა რა ჯანდაბაა? ქალი დაითრია, აბაზანაში შეათრია, გადაკუზა, პანჩური ურტყა, იხმარა, დაგლიჯა, დაალილავა. როცა ოფლი მოიდინა და არაქათი გამოეცალა, ქალი დაემუქრა, სამხარაულში ექსპერტიზას გავივლი და ამ ამბავს გაგიბაზრებო. იმან, კაი ერთი, შენც ხომ ისიამოვნეო? ჰო, მაგრამ ნამეტანი მოგივიდა, ნახე, როგორ დამგლიჯე, შე ცუდოო. იმას ემცხეთა, შეიძლება ჩემი პრეზიდენტული პრესტიჟი მართლა შელახოსო, ერთ-ერთ შეძლებულ ბიზნესმენს გადაურეკა, ამას და ამას ბინა უყიდეო, მანქანაცო. ბიზნესმენმა ამოიგმინა, შენი ბოზებისთვის საჩუქრებს მე რატომ უნდა ვყიდულობდეო? ეს ბოლო იქნებაო, მეტს აღარ ვიზამო, ჩაიხვიხვინა სასხვათაშორისოდ. ბინაც უყიდეს, მანქანაც. დიდი დრო გავიდა, ქალი ისევ იმაზე ლოცულობს. რატომაც არ უნდა ილოცოს? ეგეთი სექსი ცხოვრებაში არა ჰქონია, ცოტა მტკივნეული კი იყო, მაგრამ რა უჭირს?

გიჟია, ოხერი?!

გიჟია, მა რა დოზანაა?

მე არაფერს ვიგონებ… აგერ, ქიბარ ხალვაში წერს თავისი ხელით, ქაღალდის ჭამა უყვარსო:

„მშვიდობიან პერიოდში, როცა არც ომი იყო (ჰალსტუხის ამბავი) და არც არავითარი სტრესული გარემო, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჭამდა ქაღალდის ხელსახოცს. მისმა მეგობრებმა ირონიულად აღნიშნეს, რომ ის ჩვენი იმჟამინდელი პროდუქციის — „სელპაკის“ დიდი მოყვარული და მომხმარებელი იყო. საკანში ქაღალდის არსებობას ალბათ არავინ უკრძალავდა. ნორმალური ადამიანები ქაღალდს არ ჭამენ“!

როდის იყო, ნორმალური ადამიანი ქაღალდს ჭამდა? თანაც ხელსახოცს? თანაც ტუალეტისას? იმ პერიოდში, როცა ის ზეობდა, ქიბარ ხალვაშს „სელპაკი“ შემოჰქონდა და მაგან იცის, როგორ „აგემოვნებდა“.

არც მე მესმის, თუ გიჟი არ არი, ადამიანმა ქაღალდი რატომ უნდა ჭამოს? სუფრასთან ვერ ძლებოდაო, კაცო, ვერც ახლა ძლებაო. ორი ცალი „ბელას“ წარმოების ტორტი შეჭამა, ხაჭაპური დააყოლა, ლობიანიც გადასანსლა, ხილი, ბოსტნეული, უფრო ბოლოკი, ათასი რამე ხეთქა, ცუდად გახდა, მთელი ღამე ტუალეტში ირბინა, მეორე დღეს ტორტის მცხობელ ბელას იჭერდა, მაგან მომწამლა, პუტინმა მომიგზავნაო.

ჰალსტუხი რომ ჭამა, გახსოვთ… 2008 წლის აგვისტო იყო, მაშინ პუტინმა გაულაწუნა, დაიბნა, საკუთარი შარვლის „ზმეიკასაც“ წაეტანა, ლამის გამოღრღნა.

არა, მე მაინც იქ ვარ… ნორმალურმა ადამიანმა ქალს მუძუ რატომ უნდა მოაჭამო? ეგ ამბავი ბათუმში მოხდა სახალხოდ, დაუფარავად. მოგვიანებით მის „მოტრფიალე“ გია ბარამიძეს წამოსცდა, ეგრე არ იყო, ცოტა სხვანაირად იყოო.

ქალის სიყვარული გამიგია, როგორ არა, სექსიც გამიგია, თავგზის დაკარგვაზეც მსმენია, მაგრამ ეგეთი ველურობა? იშვიათად, ძირითადად მხატვრულ ფილმებში მინახავს!

ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი წელი იქნებოდა, ალბათ 2006 ან 2007, მაშინ სხვა გაზეთში ვმუშაობდი, ერთი ავლაბრელი გოგო ჩიოდა, პრეზიდენტმა გამაუპატიურაო. ყველა დასცინოდა, მაიცა ერთი, როდის იყო, ეგ შენნაირ ბოგანოებს დასდევდაო? არ იყო ბოგანო, კაი შხვართი გახლდათ, ერთ-ერთ პრესტიჟულ კაფეში მუშაობდა მიმტანად. იქ შეხეტებულა, თვალში მოხვედრია და ბრძანება გაუცია, მომგვარეთო. მიჰგვარეს. გოგო დეტალურად ყვებოდა, როგორ იძალადა, როგორ დაგლიჯა, ლამის ნაფლეთებად აქცია, ექსპერტიზის დასკვნაც ხელში ეჭირა, მაგრამ რა ფასი ჰქონდა? არავითარი!

მაგას, მაგ შლეგიან დღეზე გაჩენილს, თითქმის ყველა კუთხეში მოუწყვეს რეზიდენცია. ერთი დროის სატარებელი ბუნაგი ბობოყვათში ჰქონდა. დროის სატარებელი? ჰა, ჰა, ჰა, არა, შემეშალა, ორგიების მოსაწყობი!

იცით, 2013-ში უკვე ვადაგასულმა რა გააკეთა? ჩავიდა ბობოყვათში, დაჯდა შუა ეზოში და გამოაცხადა, აწი ამ სასახლეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებს ვჩუქნი, ჩამოვიდნენ, დაისვენონ ხოლმეო. ესაო, თავის დროზე, ცეკას მდივნების რეზიდენცია იყო, შემდეგ ასლან აბაშიძის, შემდეგ საქართველოს პრეზიდენტისო, ანუ ჩემიო… თუმცა მე აქ იშვიათად ვჩერდებოდიო.

2008-ში ომი იყო, დაღუპულთა ოჯახები 2013-ში გაახსენდა, 5 წლის შემდეგ, როცა ძალაუფლება ჩამოართვეს. იფიქრა, ახლა აქ ბიძინა ივანიშვილი ჩამოვა დასასვენებლადო და ეგრევე გადააფორმა ვილაცებზე. თუმცა, 2015 წლის სექტემბერში, მთავრობის განკარგულებით, ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია, რომელიც სამხედრო მოსამსახურეთა დასასვენებელ სახლად უნდა გადაკეთებულიყო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა, ხოლო საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ „კრწანისის პარკის“ კაპიტალში რიცხული უძრავ-მოძრავი ქონება მთავრობამ დაიბრუნა.

ნამაღლარმა თქვა, მე ბობოყვათში იშვიათად ვჩერდებოდიო. ჰა, ჰა, ჰა… რა იშვიათად? შაბათ-კვირას ორგიებს მართავდა, ეს შეჩვენებული!

მე არაფერს ვიგონებ, ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე ბობოყვათში ცხოვრობს, იმ პერიოდში იმის, პრეზიდენტის მეზობლად ითვლებოდა, კაცი შეწუხებული იყო, მეტი აღარ შეგვიძლია, საერთოდ არ იძინებს, რეზიდენციიდან სულ ჟრიამული გამოდისო. ამ სოფელში ლამის ყველას ნევროზი დამართა, ჩაჰყავდა ცნობილი ბოზები თბილისიდან, ზოგს ძუძუს აჭამდა, ზოგს დუნდულს. თუ ნამეტანი მოუვიდოდა, თუ დუნდულს ნორმაზე მეტად ჩაჰკბეჩდა, იმ დუნდულის პატრონის ქმარს მოელაპარაკებოდა და საოპერაციოდ ან საფრანგეთში გაუშვებდა, ან კიდევ გერმანიაში.

გიჟია, ოხერი?!

გიჟია, მა რა არი? ვერ გაძლა სექსით. ერთ ხანობას ადგილობრივები მოიბეზრასავით, საერთაშორისო დონის ბოზები მოინდომა, თან მასაჟს რო აკეთებენ, თან რო იკბინებიან და თან კიდე შენ ზურგზე დადიან. ექიმი დოროთი შტეინი (დოქტორი დოტი) ჩამოაყვანინა აშშ-დან. ექიმს ეძახიან, თორემ ერთი ბებერი მასაჟისტია. ავიენები ამბობენ, 4 ათასი ევრო კი გააფორმეს, მაგრამ სინამდვილეში 50 ათასი გადაუხადესო. თუნდაც 4 ათასი ყოფილიყო, თუნდაც 1 ევრო ყოფილიყო, ვინ ეგდო, ბიუჯეტის ხარჯზე რომ „მასაჟაობდა“, ეს ჩემისა?!

ახლა ეს დოქტორი დოტი იძახის, საქართველოს ყოფილმა „უმფროსმა“ ჩემთან სექსუალური კონტაქტი ჩემი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარაო (მან ექსკლუზიური ინტერვიუ რუსეთის „პირველ არხს“ მისცა). ამაზე ქართველი ექსპერტი დავით ქართველიშვილი ამბობს, სახელმწიფოს მშენებლობის ფარგლებში ექიმთან სექსი, სავარაუდოდ, კონიაკში ჰალუცინოგენების ჩაყრის შემდეგ განხორციელდა, რამაც დოტი უგონო მდგომარეობაში ჩააგდო. ქალი ლამის გააგიჟეს, ჭკუიდან გადაიყვანეს, მაგრამ ფულით გააჩუმეს. თავის ქვეყანაში დაბრუნებულმა მარტო ის დაწერა, ამა და ამ ქვეყნის პრეზიდენტს მასაჟი გავიკეთეო. ეგეც თვითონ გააბაზრა, თორემ ჩვენ კაი ხანს არ გვეცოდინებოდა, ასეთ რამეებს გრიფით „საიდუმლო“ დაადო. არ არსებობს საიდუმლო, რომ არ გაცხადდეს, გინდა გრიფით იყოს, გინდა — უგრიფოდ.

500 000 (ნახევარი მილიონი) დოლარი კოსმეტიკურ პროცედურებში (ბოტოქსი, ეპილაცია, გახდომა) დახარჯა. მერე 75 000 დოლარი ინსბრუკში (ავსტრია) დატოვა, გასახდომი პროცედურები ჩაიტარა გიგი უგულავასთან ერთად. 90 000 დოლარი სტილისტს გადაუხადა. ამდენი ფული ფლანგა (დარწმუნებული ვარ, ეს იმის მეასედია დაფიქსირებული, რაც სინამდვილეში ბიუჯეტიდან წაიღო), ამდენი ე.წ. გამაჯანსაღებელი და კოსმეტიკური პროცედურები იკეთა, რა ეტყობა? არც არაფერი, რა მაიმუნიც იყო, ის მაიმუნი დარჩა — უშნო და უხეირო. თქვენ გგონიათ, ამით დაკმაყოფილდა? 120 000 დოლარი მზარეულს მისცა, 40 000 დოლარი შვილის სწავლაში წაიღო, ყველაზე ძვირ კერძო სკოლაში (ზალდასტანიშვილის აკადემია) დაჰყავდა. ახლა იძახის, ჩემი შვილი განათლებულიაო. რატომ არ იქნება რა! ეგ კი არა, ჩვენი ჯიბიდან 70 000 დოლარი ამოუღია და თავისი პირადი ექიმისთვის, ნიკოლოზ ყიფშიძისთვის უჩუქებია, წადი, საზღვარგარეთ იმკურნალეო. ეს ის პირადი ექიმია, ახლა რომ დაბოდიალობს იმის პალატასთან და მერე უცნაურ რაღაცებს ლაპარაკობს. პრინციპში, რასაც პაციენტი ეუბნება, ის გამოაქვს, ორივენი ერთი ჭკუისანი არიან. რავი, პირადი ექიმიო, ეგ თუ ექიმია, მაშინ მე ჩინეთის იმპერატორის დეიდაშვილი ვარ მამის მხრიდან.

გიჟია, ოხერი?!

გიჟია, მა რა არი, ამდენი საყვარელი სად გაგონილა, ჰარამხანაა თუ ბორდელი? ახლა იმათზე მოგახსენებთ, ვისზეც პატივცემულ საზოგადოებაში ლაპარაკობენ: ვერა ქობალია უცხოეთში მოგზაურობისას გაიცნო, მისი ცეკვა იმდენად მოეწონა, კაცი დაიბრიდაო. დაბრედვაც არის და დაბრედვაც, ქალი ეგრევე ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. ამბობენ, ვერა

თავის დროზე პურის მცხობლად მუშაობდაო.

ნინო კალანდაძე იმან აეროპორტში გაიცნო და მალე დეპუტატად „აკურთხა“. ამჟამად მისი ბიბლიოთეკის გამგეა სააკაძის მოედანზე.

სოფო ნიჟარაძე... ეს სერიოზული თემაა — იყო დრო, იმას თავის ნებასა და სურვილზე ათამაშებდა, ავლაბრის აღმართზე „ორი ლულაც“ კი ააშენებინა, მაგრამ ბოლოს ისიც უარყოფილ იქნა. წლების წინ იყო, როცა პირველად მათ სასიყვარულო ურთიერთობაზე პირველად დავწერე, სოფოს ბიძამ დამირეკა, ლამის ჯვარს მაცვა, როგორ ბედავ, ჩემ დიშვილს ცილს რომ სწამებო? საქმე გამირჩია, ამას გიზამ, იმას გიზამო. გავიდა დრო და... აჰა!

ია ფარულავაზეც ამბობენ... ალანა გაგლოევაზე ხომ ამბობენ და ამბობენ... ხათუნა კალმახელიძესაცო, ამიტომაც დანიშნა ციხეების უფროსადო. ამ ქალზე ლეგენდებს ყვებიან, როცა თვრებოდა, პატიმრების წამებას უყურებდა და კაიფობდაო.

ამაზე იძახიან, ბათუმში უკრაინელი მომღერალი ივანა მელაია იხმარა და კაი დიდი თანხაც გადაუხადაო. იმ პერიოდში შოუბიზნესის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს (ხმამაღლა თქმა ვერ გაბედეს, გაბედავდნენ და კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ), მაშინ, როცა ქართულ შოუბიზნესს ასე უჭირს, პრეზიდენტი უკრაინელ მომღერალზე ფულს რატომ ხარჯავსო?!

ამას, ამ მებორდელეს ერთი რეზიდენცია მცხეთისკენაც ჰქონდა, ზემოთ არი, ტყეში. ახლა იქ რაღაც სამკურნალო დაწესებულებაა. საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა მითხრეს, იქაც მაგრად იბუქნავა, იქიდანაც გამოდიოდა ყოველღამ ქალების კივილიო.

ამას წინებზე უკრაინელ დეპუტატზე, ლიზა იასკოზე თქვა, გაიცანით, ეს ჩემი ახალი ცოლია, აწი მასთან ერთად უნდა შევქმნა ოჯახიო. ვერ მოასწრო ჯვრისწერა, ეს დაიჭირეს, ის კიდე წამდაუწუმ შედის სანახავად. იქიდან გამოსული ისიც რაღაცნაირად ლაპარაკობს, გეგონება აქ არ არიო. სანდრამ თქვა, არ დაგიმალავთ, ეს ჩემთვის მოულოდნელი და სრულიად მიუღებელი იყოო. იმან, პატიმარმა დავალება მოგვცა, ჩემი ყველა წარსული ურთიერთობა დასრულებულია, გთხოვთ, პატივი სცეთ სანდრას პირად ცხოვრებას, რომელსაც მე პატივისცემით ვეპყრობიო. ესე იგი, მე პატივისცემით ვეპყრობი და თქვენც ვალდებული ხართ, პატივი სცეთო.

ევროპელი ფსიქიატრების დასკვნაში არის მასზე დიაგნოზი: „ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი... ის იღებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რისი გაგონებაც სურს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს განდიდების მანია, მანიაკალური სინდრომი და განცდა, რომ ერთადერთი და განუმეორებელია“.

ევროპის 7 ავტორიტეტული ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნა პოლიტიკურ წრეებში 2006 წელს გავრცელდა და შემდეგ პრესაშიც დაიბეჭდა. ამის შესახებ დეტალურად მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

თუმცა, მანამდე უნდა გაცნობოთ, რომ ის საფერფლეებსა და ბოთლებსაც ისვრის, მხოლოდ სექსი არ არის მისი ჰობი. მან არ იცის დრო და ადგილი. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ კოტე კემულარიამ უთხრა, პროცესები უმართავი ხდება, ვანო მერაბიშვილი უნდა გადადგესო. გაღიზიანებულმა კემულარიას საფერფლე ესროლა. კოტეს კი ასცდა, მაგრამ ავად შეიქმნა და რამდენიმე დღე ნიკანორის მამის, ანზორ მელიას კლინიკაში გაატარა. 2008 წელს ასევე საფერფლე ესროლა პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილს, რომელიც ამ ინციდენტის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და საერთოდ გაქრა. ახლა აღარაფერს ვიტყვი, რას ყვებიან ჟვანიას მკვლელობაზე, ამ შემთხვევაშიც საფერფლეს ახსენებენ ხშირად. ბოთლები სადღა ისროლაო? იკითხავთ ალბათ. ბატონი პეტრე მამრაძე, რომელიც კარგახნით სახელმწიფო კანცელარიის უფროსი გახლდათ, გვიყვება: „2009 წელს ერთმა დიპლომატმა მიამბო, სააკაშვილი ინკოგნიტოდ იყო ჩასული ლონდონში და სასტუმრო „რიცში“ საპრეზიდენტო აპარტამენტებში დაბინავდა. ნომერში მისი შესვლიდან 10 წუთში სასტუმროს ადმინისტრატორის ტელეფონი აწკრიალდა. სააკაშვილი ყვიროდა, ახლავე ჩემთან ამოდითო. რამდენიმე თანამშრომელი მივიდა პრეზიდენტის ნომერთან და კარი გაიღო თუ არა, მათკენ გამოსროლილი ბოთლი კედელს შეენარცხა. ის იღებდა სხვადასხვა რუსული იარლიყის მქონე ბოთლებს, ესროდა სასტუმროს თანამშრომლებს და ყვიროდა, ეს როგორ დამახვედრეთო?! ეს ამბავი არ გახმაურებულა, რადგან „რიცი“ საჯაროდ არაფერს იტყვის თავის კლიენტებზე, მაგრამ ლონდონის საზოგადოება იმ საღამოს ლაპარაკობდა, საქართველოს



გიჟი პრეზიდენტი ჰყავს, ბოთლებს ისვრისო“.

ჰმ... გიჟია, ოხერი?!

რაც ამან სანდრა რულოვსს გაუკეთა, თავისი შვილების დედას, ოფიციალურს, ხელმოწერილს, გიჟია, მა რა არი? მე რომ დამიჭირეთ, იმას რატომ არ იჭერთ, ფულის უმეტესი ნაწილი ხომ მაგან დახარჯაო?

ამბობენ, ამ პარასკევს მასთან ავლიპ ზურაბაშვილის ვაჟი, დავით ზურაბაშვილი შევიდა გამოსაკვლევადო. ბატონი დავითი სუპერპროფესიონალი ფსიქიატრია, ეგრევე დაუსვამს ნამდვილ დიაგნოზს. დაველოდოთ. მანამდე კი ჩვენთვის ცნობილი ხდება ნევროლოგ ოთარ თოიძის დასკვნა — მსჯავრდებულ სჭირს ვერნიკეს ენცეფალოპათიის სინდრომი. რა არის ეს დაავადება? მწვავე, სიცოცხლისთვის სახიფათო ფსიქონევროლოგიური სინდრომი, რომელიც ხასიათდება ცნობიერების აბნევით, აპათიით, მოდუნებით, ძილისმაგვარი დელირიუმით (ბოდვა), თვალისა და მხედველობის ნერვების დამბლით, ნისტაგმით, წონასწორობის დარღვევითა და ატაქსიით.

ალბათ ჩემეული დასკვნაც გაინტერესებთ, ძვირფასო მკითხველებო, არა? კი, ნამდვილად გიჟია, ეს ოხერი, მაგრამ მე ის უფრო მაწუხებს, განა რა დააშავა ამ ერთი ციდა ქვეყანამ, რომ დღემდე ასეთ სასაცილო და სასატირლო მდგომარეობაშია? ცალი თვალით მეცინება, ცალი თვალით მეტირება, განა რა დანაშაული გვაქვს ჩადენილი ამისთანა, რომ საუკუნეების განმავლობაში სიწყნარე და სიამტკბილობა არ გვღირსებია და არც აწი გვიჩანს საამისო პირი? ერთ ჭირს მოვიშორებთ, მეორე ჩნდება, მეორეს მოვიშორებთ, მესამე ჩნდება, მესამეს მოვიშორებთ, მეოთხე ჩნდება და ჰეეე... გადის საუკუნეები!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ვრასტანი“ – 100




საქართველოს სომხურენოვან გაზეთის „ვრასტანს“ („საქართველო“) დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს როგორც მისი რედაქციისათვის, ისე ჩვენი ქვეყნის სომხური საზოგადოებისა და მთლიანად საქართველოსათვის.

უკვე საუკუნე გვაშორებს 1920 წლის დეკემბერს, როცა საქართველოში სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანის“ გამოცემა დაიწყო. იმ დროს არავინ იცოდა, რა პერსპექტივა ექნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პრესის კიდევ ერთ წარმომადგენელს, თუმცა იყო მტკიცე რწმენა იმისა, რომ გაზეთი დაეხმარებოდა ქვეყნის სომხურენოვან მოქალაქეებს ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ინტელექტუალურ განვითარებაში.

ძნელია დღეს მსოფლიოში მოძებნო ქვეყანა, სადაც ეთნიკური უმცირესობისათვის გაზეთი ისეთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს ასრულებდეს, როგორსაც ის ახორციელებს საქართველოში. „ვრასტანი“ საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ერთგვარი გზამკვლევია, ეხმარება მათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, საქართველოს ინტერესების დაცვაში, თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების რეალიზებასა და ვალდებულებების შესრულებაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ვრასტანმა“ თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე დიდი როლი შეასრულა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის, ისე საქართველო-სომხეთის ურთიერთობების განმტკიცებასა და ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის გაღრმავების საქმეში.

„ვრასტანი“ თავის მკითხველს შთააგონებს სიყვარულს, პატივისცემასა და ერთგულებას მშობელი ქვეყნის — საქართველოს მიმართ, რითაც უფრო მეტად უწყობს ხელს ისტორიულად მონათესავე და მოძმე ორი ერის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

„ვრასტანი“თავისი არსითა და მოწოდებით საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობისათვის განკუთვნილ გამოცემას წარმოადგენს აზერბაიჯანულ „გურჯისტანთან“ („საქართველო“) ერთად. აღსანიშნავია, რომ ორივე გაზეთის რედაქციებს, „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ ჟურნალისტებს ერთმანეთთან მრავალწლიანი კეთილი დამოკიდებულება აკავშირებს. ისინი ერთად ცდილობენ მრავალეროვანი საქართველოს სტაბილურობის განმტკიცებას. ეს ფაქტიც საქართველოსათვის დამახასიათებელი უნიკალური რეალობის დადასტურებაა.

გაზეთი „ვრასტანი“ ერთგვარი ხიდია საქართველოსა და სომხეთს შორის. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას ორი მეზობელი ქვეყნის მასმედიის წარმომადგენლებს შორის.

„ვრასტანის“ წარმატებული საქმიანობა და გაზეთის პოპულარობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია მისი მთავარი რედაქტორის ვან ბაიბურთის სახელთან. ბატონი ვანი რედაქციას თითქმის 35 წელია ხელმძღვანელობს. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე პროფესიონალი ჟურნალისტია, რომლის ძირითად კრედოს ქართული სახელმწიფოსადმი სამსახური, საქართველოს სომხურენოვანი მოქალაქეების ინფორმაციული უზრუნველყოფა და მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება წარმოადგენს. დღეისათვის მას მტკიცედ უჭირავს „ვრასტანის“ საჭე საქართველოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების „ბობოქარ ზღვაში“.

გაზეთ „ვრასტანს“ იუბილე



უკვე მიულოცეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა ლიდერებმა და ქართული და სომხური საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას მქონდა პატივი მიმელოცა გაზეთ „ვრასტანისათვის“ 60 წლის იუბილე. დღეს კი მას სიამოვნებით ვულოცავ დაარსებიდან ას წელს. მართლაც რომ ფასდაუდებელია გაზეთ “ვრასტანის” როლი ქართულ-სომხური ურთიერთობების გამყარებისა და ჩვენ ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. მარად ახალგაზრდა გაზეთმა არა ერთხელ დაარწმუნა თავისი ერთგული მკითხველი, რომ ქართველ და სომეხ ერებს შორის ურთიერთსიყვარულს, ერთმანეთის ნდობას, ერთმანეთის გვერდში დგომას, ურთიერთპატივისცემასა და ერთმანეთის გატანას ალტერნატივა არა აქვს.

**ნინო აფციაური**
არმენოლოგი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, თსუ მეცნიერ-თანამშრომელი, 2003-2019 წლებში სომხეთში საქართველოს საელჩოს მრჩეველი

# ევროპაში შეიძლება შობის და აღდგომის დღესასწაულები აიკრძალოს, ხოლო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი „დისნეილენდად“ გადაკეთდეს



ცრუ განგაში აღმოჩნდა უკრაინაში პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ დაანონსებული სახელმწიფო გადატრიალება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა კონკრეტულად დაასახელა პუტჩის თარიღი, მასში მონაწილე პირები და დასახარჯი თანხაც, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა დღემდე არავის უცდია.

რადაში სიტყვით გამოსვლისას, ზელენსკის, ვითომდა მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალება ერთხელაც არ უხსენებია. სამაგიეროდ, იტრაბახა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე, შეაქო შეიარაღებული ძალები... „ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო და ძლიერი ჯარი გვყავს. სრულად ვართ მზად რუსეთს ვეომოთ და დავამარცხოთ“, — განაცხადა ზელენსკიმ. რადაში წარმოთქმული სიტყვით თავისი მხარდამჭერებიც გააოგნა პრეზიდენტმა. რადას „ხალხის მსახურის“, ანუ







მისი პარტიის დეპუტატებისთვისაც გაუგებარი დარჩა, რას ემსახურებოდა სახელმწიფო გადატრიალების დარწმუნებით დაანონსება.

მიტინგის გარეშე არ ჩაუვლია კიევში 1 დეკემბერს. ზელენსკის რადადან წასვლის შემდეგ, რამდენიმე საათში მაიდანზე შეიკრიბა სოციალური საკითხებით უკმაყოფილო ხალხი,. ამჯერად აქცია მშვიდობიანი იყო. დემონსტრანტები ითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. პოლიტოლოგების შეფასებით, ზელენსკის პოლიტიკური კარიერა დაღმართზე დაეშვა და სიჩქარეს ყოველდღიურად უმატებს. მისი საპრეზიდენტო სავარძელი საგრძნობლად შეირყა, რადაში პრეზიდენტის პარტიული სიით გასული დეპუტატები ტოვებენ პარტიის რიგებს. ზელენსკიმ გაანიავა რეიტინგი და დაკარგა ხალხის მხარდაჭერა. ერთ დროს კომიკოსს, რომელიც თავად დასცინოდა სხვებს, ახლა მას აშარჟებენ. რადაში ოპოზიციონერმა დეპუტატებმა კენჭისყრაზე დააყენეს საკითხი — პრეზიდენტისთვის პამპერსების შეძენის შესახებ. წინადადება ვერ გავიდა, მხოლოდ ორი ხმა დააკლდა.

გასულ კვირას ლატვიის დედაქალაქი მასპინძლობდა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტს. ბლინკენს რიგაში საკმაოდ დატვირთული სამუშაო განრიგი ჰქონდა. გერმანელ და ფრანგ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გაიმართა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან. შეხვედრები, თავისთავად, დახურულ კარს მიღმა იმართება. დიპლომატები განსახილველ თემებზე არ საუბრობენ. თუმცა სამიტის მთავარ საკითხებად ჩინეთისა და რუსეთის შემაკავებელ სანქციებზე საუბრობდნენ. სტოლტენბერგის განცხადებით, რუსეთის მოქმედი ხელისუფლება აგრესიულ საგარეო, ხოლო ქვეყნის შიგნით მოსახლეობის დამთრგუნველ პოლიტიკას ატარებს. მისივე თქმით, რუსეთს საკუთარი ინტერესების სფერო სამყაროში არ გააჩნია და არც უნდა ჰქონდეს.

კონკრეტული გადაწყვეტილებები რიგაში, ნატოს სამიტზე არ მიუღიათ. „სამაგიეროდ, მოსკოვს მკაცრი გზავნილები გავუგზავნეთ“, — დაიტრაბახეს ორგანიზატორებმა. სტოლტენბერგმა კვლავ გააკეთა ჩვენთვის საყურადღებო განცხადებები. მისი თქმით „ალიანსის წევრ ქვეყნებს ყოველგვარი დახმარების იმედი უნდა ჰქონდეთ“. აქვე სათქმელია, რომ იენს სტოლტენბერგს გაისად ეწურება თანამდებობაზე ყოფნის ვადა.

სამყარო გააოცა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელიზაბეტ ტრასსიმ. რიგაში ჩასვლამდე ის ესტონეთში იმყოფებოდა რუსეთ-ესტონეთის საზღვარზე. იგი ჯავშანჟილეტით, ჩაფხუტით, თეთრ სამოსში ტანკზე ამხედრდა და უშუალოდ საზღვრის გასწვრივ გაისეირნა. ანალიტიკოსების შეფასებით, მან დაარღვია დიპლომატიური ეტიკეტი. ელჩი მშვიდობის გარანტია და იარაღი მისგან შორს უნდა იყოს, მით უფრო, ქვეყნის პირველი დიპლომატის ტანკზე ასვლა ყოვლად მიუღებელია. მიმომხილველებმა გაიხსენეს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, რომელმაც 1986 წელს ჯერ კიდევ დასავლეთ გერმანიიდან სწორედ ტანკზე მყოფმა მოკითხვა გაუგზავნა იმდროინდელი საბჭოეთის პირველ პირს მიხაილ გორბაჩოვს. თუმცა ტეტჩერს მსოფლიო „რკინის ლედის“ სახელით იცნობდა, ტრასსის მასთან შედარება მართლაც უხერხულია.



არც ნორვეგიაში, ეუთოს სამიტზე მომხდარა განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც გავლენას იქონიებდა მსოფლიოს პოლიტიკაზე. სტოკჰოლმში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ ენტონი ბლინკენი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. მათი დიალოგი 40 წუთს გაგრძელდა. შეხვედრის შემდეგ ერთობლივ ბრიფინგამდე დიპლომატები ერთმანეთს თბილად, შინაურულად ესაუბრებოდნენ, თუმცა პრესკონფერენციაზე ბლინკენი ლავროვს „ჯოჯოხეთური სანქციებით“ დაემუქრა.



ოფიციალურად გააცილეს თანამდებობიდან გერმანიის უკვე ყოფილი კანცლერი ანგელა მერკელი, რომელიც ქვეყნის სათავეში 16 წელი იყო. ტრადიციული ღონისძიების მსვლელობისას მერკელი ნაღვლიანად გამოიყურებოდა... მან მომავალ კანცლერს გულწრფელად უსურვა წარმატებები და ღიმილით დატოვა გაცილების ცერემონიალი. „...ანგელა მერკელის წასვლით დაობლდა გერმანია და, საერთოდ ევროპა. საეჭვოა, ქვეყნის ახალმა მთავრობამ მალე აუღოს ალღო და ისე ეფექტურად განაგრძოს მუშაობა, როგორც მერკელის ხელისუფლება მუშაობდა“, — ამბობს გერმანელი პოლიტოლოგი ალექსანდრ რარი. კანცლერის პოსტს სოციალ-დემოკრატი ოლოფ შულცი დაიკავებს. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ახალი მთავრობა საკმაოდ ჭრელი და უცნაური იქნება.



გრძელდება დისტანციური დაპირისპირება, უფრო ზუსტად, კინკლაობა საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მეკრონსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს შორის. მათ შორის დაძაბული ურთიერთობა მიგრანტების საკითხმა ბოლო დროს კიდევ უფრო გაამწვავა. გასულ კვირას მაკრონმა ჯონსონს „კლოუნი“ უწოდა. საპასუხოდ ჯონსონმა მაკრონს ნაპოლეონი შეარქვა! საერთოდაც, მაკრონისთვის დიდი პატივია ნაპოლეონთან, დიდ მხედართმთავართან შედარება. ამაზე ქართველები ვამბობთ „სად ერეკლე და სად ყურებიანი ქუდიო...“ „ევროპაში ახლა კონკურენციაა, ვინ უფრო დიდი კლოუნია — ბორის ჯონსონი თუ ზელენსკი. ისე, ზელენსკი პროფესიონალია, ჯონსონი კი მოყვარული“, — თქვა იაკობ კედმიმ.

სულ უფრო ხშირად ისმის ჩივილი, რომ სამყარო მორალური ფასეულობების ჩიხშია შესული. გასულ კვირას ევროპაში ღიად განაცხადეს, რომ დასავლურ ფასეულობებს, განსაკუთრებით ერთსქესიანთა ქორწინებას, ნატოს ძალებით დაიცავენ! გამოდის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მთავარი სულიერი ფასეულობა სექსუმცირესობები და ერთსქესიანთა ქორწინებაა? რა ხელი აქვს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს სულიერ ფასეულობებთან? ვინ უჭერს მხარს მსგავს, ჩვენთვის უმსგავსობას, უცნობია. სავარაუდოდ, ადამიანების ვიწრო წრე, რომლებიც ჩრდილში იმყოფებიან. ევროკომისარმა ელენ დალლიმ წამოაყენა წინადადება, რომ შობის დღესასწაულს შეეცვალოს სახელი და „ზამთრის“ ან სხვა დღესასწაულად მოიხსენიოს საზოგადოებამ! ასევე მიუღებელი გახდეს მიმართვა: „ბატონებო და ქალბატონებო“. წარმოშობით მალტელმა კომისარმა, რომელიც ახლო წარსულში თავად იცავდა ტრადიციულ წესებს, ამჯერად უკვე აშკარად გაილაშქრა მიღებული ნორმების წინააღმდეგ.

მსგავსი რამ უკვე გამოვიარეთ, ყოფილ საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო შობის, აღდგომის და სხვა დღესასწაულებიც. მიმართვაც ზოგადი იყო ქალებისა და მამაკაცების მიმართ — „ამხანაგო“. უკან, კომუნიზმში თუ ფაშიზმში გვაბრუნებენ? ალბათ, გახსოვთ, ამერიკული ფილმი „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“. ფანტასტიკურ-სათავგადასავლო კინოსურათისგან განსხვავებით, ახლა ევროკომისრები რეალურადართმევენ სამყაროს შობის დღესასწაულს. ევროპის ცალკეულ ქვეყნებში აკრძალეს სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენები, მათ შორის, „მაკნატუნა“, რასიზმის ნიშნებს შეიცავსო. გავრცელებული ინფორმაციით, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი „დისნეილენდად“ გადაკეთდება, ან ტაძართან იფუნქციონირებს! ერთი მხრივ, ბედნიერია კვაზიმოდო, ასეთ უმსგავსობას რომ ვერ მოესწრო!

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ლეილა მესხი: აქა ამბავი შესახებ იმისა, თუ როგორ „დამაგორეს“ „აგორადან“



## ღია ბარათი თეონა დოლენჯაშვილს

დღეს, ამ აწეწილ დრო-ჟამში, არავის გაუკვირდება მწერლების შეხლა-შემოხლა, ერთობა ხალხი და ამ თემაზეც „იხალისებენ“... მაშ ასე, „ფეისბუკში“ ერთ მხარეს „ძველი თაობის“ წარმომადგენელი (83 წლის მწერალი ქალი) **ლეილა მესხი** და მეორე მხარეს ახალგაზრდა მწერალი ქალბატონი, **თეონა დოლენჯაშვილი,** („საბას“ პრემიების დედოფალი), თავადაც ამ პრემიით მრავალჯერ დაჯილდოებული შევეჯახეთ ერთმანეთს. ჩვენს შორის აშკარა განსხვავებაა, თუ იგი მრავალი პრემიით, წიგნით, გამოცემით, მოგზაურობით, მიწვევა-მიპატიჟებით არის განებივრებული, მრავალჯერ თარგმნილი წიგნების ავტორია, მე, ასაკოვანმა მწერალმა, ამ ბოლო ჟამს, ძლივძლივობით სამი წიგნი გამოვეცი (ორას-ორასი ცალი), ახალი რომანი და მოთხრობები (თუმცა არც ერთი არ გამიყიდია. ინდმეწარმე არ აღმოვჩნდი! ზოგი გავაჩუქე, დანარჩენი სახლში მიწყვია!) და მთავარი... მე ხომ ძველი თაობის წარმომადგენელი ვარ! ხან „ჩარეცხილებს“ გვიწოდებენ, ხან „ნაფტალინწაყრილებს“, ხოლო ის, მოპაექრე, მთელი თავის მომხიბვლელობითა და ახალგაზრდული შემართებით ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებს. აშკარად წაგებული პოზიცია მაქვს, თუმცა დასათმობიც არაფერი მაქვს?! (კარგა ხანია, წაგებული მაქვს ომი!.) ჯერ კიდევ მაშინ, მწერალთა კავშირის სასახლიდან კინწისკვრით რომ გამოგვყარეს (მაჩაბლის 13). კარებში პოლიცია ჩააყენეს, რომ ფეხი არ შეგვედგა,... კულტურის მაშინდელმა“, „უკულტურო“ მინისტრმა — გოკა გაბაშვილმა ამგვარად ბრძანა!

ამიტომაა, რამდენი წელი გავიდა და, იქაურობას არ მივკარებივარ! ისიც მახსოვს, ბრიყვსახიანმა ჯეელმა, როგორ მომიხურა ცხვირწინ კარი. ქალბატონი ლომოურის ნებართვა მთხოვა, არ მქონდა... საიდან მექნებოდა! გაცნობა რომ გადავწყვიტე, არ მიმიღო,,, „უცხოელი სტუმრები მყავსო.“ არ ვიცი, ვინ ჰყავდა, ღია ფანჯარაში მამაკაცების ხორხოცი და ქალების კისკისი ისმოდა.. ვინ იყო ლომოური? (სახელი ახლაც არ ვიცი) საიდან მოვიდა?!... (ლიტ. მუზეუმის რიგითი თანამშრომელი, მხოლოდ ეს გავარკვიე.) მოვიდა და, მწერალთა კავშირის კაბინეტში, სახელოვანი მწერლების სავარძელში გამოიჭიმა, რა დამსახურებიშთვის?! ნეტავ არ შერცხვა?! ნუთუ არ იცოდა, ვინ ისხდნენ... იმ სავარძელში?! — ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ნოდარ დუმბაძე, შოთა ნიშნიანიძე, გურამ ფანჯიკიძე. როგორ გაბედა?!...

ფეხებატკივებული, სულიერად აფორიაქებული მწერალი ქალი ვესტუმრე და არ მიმიღო. თავხედმა პოლიციელმა ლამის ხელი მიჯიკა და გამომაგდო, კიბეზეც არ ამიშვა, რომ სარაჯიშვილის ბაღში, მცირედათ სული მომეთქვა... წამოვედი. მორჩა! იქეთ აღარ გამიხედავს, მისვლის ყოველგვარი სურვილი დავკარგე... არადა, როგორ მიყვარდა იქაურობა, ყოველი ხე, ბუჩქი, საფეხური, ფანჯარა, დარბაზები, ილიას და ვაჟას პოტრეტები. (სადღაა?) იქ ჩვენი ნათლობის, მწერლად კურთხევის სამახსოვრო წუთები დარჩა, დიდებულ მწერლებთან შეხვედრის უმშვენიერესი წამები. ძნელი იყო მათთან შელევა! არც მათ გამოუჩენიათ დიდი ინტერესი. მიწვევის, მიპატიჟების სურვილი არ გაუმჟღავნებიათ. თუ არ მიხვალ, უმჯობესია!. მართალია, „ ზოგიერთი“ დღესაც ახერხებს მათთან სტუმრობას, საღამოებს მართავს, საკუთარი ამბიციებს იკმაყოფილებს, მაგრამ, მე და ბევრმა ჩემისთანამ, ერთხელ რომ ავიკრძალეთ მისასვლელი გზა მეორედ აღარ ვწვევივართ. და გადის დრო, არის გრიალი, ღამისთევები, ახლად გახსნილ კაფე-რესტორნებში ყველაფერი ძვირია! ისმის ხმამაღალი სიცილი. ლექსებსაც კითხულობენ... მოკლედ, თანამედროვე ბოჰემა იყრის თავს... მაგრამ! იმათ ლანდებს რა ვუთხრათ?! (ალბათ, დაფრთხნენ კიდეც...)... პაოლოს, ტიციანის, გალაკტიონის, კოლაუს... ასე რომ უყვარდათ იქაურობა, სურათებს იღებდნენ... ერთმანეთს ხოტბადიდებას ასხამდნენ. უკიდურეს შემთხვევაში... თავსაც იკლავდნენ! (სხვაგან არ შეიძლებოდა?!) მხოლოდ აქ, ამ დარბაზებში... საოცარია!

●

ყველაფერი კი ასე დაიწყო... ნოემბრის დასაწყისში, „ფეისბუკის“ გვერდზე, ახალგაზრდა პროზაიკოსის თეონა დოლენჯაშვილის ნოველა წავიკითხე. — **„ლიანა, ვერა, ნორიკო“**. წავიდა მილოცვები. აღფრთოვანებული მეგობრები ერთმანეთს ასწრებდნენ. სიახლე ყოველთვის მიზიდავს. ავტორის პოტრეტი შევათვალიერე (პირადად, არ ვიცნობ!) შხვართალაფეხებიანი, მომღიმარი ქალი აღმოჩნდა. კითხვა დავიწყე, ბოლომდე ჩავყევი... რატომღაც აღფრთოვანებული ვერ დავრჩი. სხვას ველოდი და სულ სხვა შემრჩა. რაღაცეები მეცნო,... ზოგი რამ გამახსენდა და... მივწერე. (მკითხველმა რომ გაიგოს, ზუსტ ტექსტს მოვიტან)... **„ჩიტი, თოკი, მდინარე“... „აშკარად“ სკოლის“ გავლენაა... „ლია, ვერა, ნორიკო...“. ახალი არაფერია! დიდად აღფრთოვანებული ვერ დავრჩი!“**

ვაი ჩემი ბრალი! თურმე არ უნდა დამეწერა. როგორ ვაკადრე, მოკლედ“, ნამეტნავად“ გამინაწყენდა, რა არ მიწოდა „შემთხვევითი მკითხველი“, „უილბლო ლიტერატორი“, „ჩასაფრებული პიროვნება“... „ვაი, შენს ლეილას! მივხვდი, საშიშ ობიექტს წავაწყდი, საცა იყო ამაფეთქებდა... ყველაფერი გასაგებია... იმასაც... მივხვდი, რომ არ მიცნობდა, ლეილა მესხი, ეს სახელი და გვარი არაფერს ეუბნებოდა.

— **„ასე დაჯერებული რატომ ხარ, ალბათ ვიღაც ძლიერი გიმაგრებს ზურგს**?!“ ვითომ გავეხუმრე, უფრო გავეთამაშე... უმალ... გამეცილა, სულ სხვა ბილიკებს გაჰყვა, მეც გავედევნე. მაინტერესებს რას მაკადრებს, რამდენად აქვს თავში ავარდნილი წარმატებები. რაც მთავარია, არ მიცნობს, ჩემი არაფერი წაუკითხავს, მე კიდევ მის შესახებ ყველაფერი ვიცი, მამამისაც ვიცნობ, ცნობილ მხატვარს\....მოკლედ, წავიდა ცხარე კამათი. მე ფაქტები მომყავს, ის კი „ბოლმიან,“ „შურიან“, „ლიტერატურულ გარემოში შემთხვევით მოხვედრილ ქალს“ მიწოდებს, აქეთ, მკითხველს აცოდებს თავს, თუ როგორი საბრალოა, დაუცველი, რომ მისი შურთ, რომ წარმატებას საკუთარი ნიჭით და შრომისმოყვარეობით მიაღწია.



მოკლედ შეუბერა! თანდათან ვბრაზდები\....(მესხი ვარ!) არც იმას ვამხელ, რომ კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას, მის „ნაღვაწს“... ლეილა მესხი — **„მართლა წარმატებული გგონია შენი თავი?! მაგას დრო განსაზღვრავს. დრო ყველა ამბიციის მკურნალია! ეჰ! ჩემო თეონა, რამდენი ვინმე მახსოვს, ქუხდნენ, მაგრამ დღეს მათი ხსენება არ არის. დაუნდობელია წუთისოფელი!!! თქვენთან კამათმა, რატომღაც, 1992 წელი გამახსენა... უმძიმესი წლები, გაჭირვებით, საკუთარი თანხით, წიგნი „ლტოლვა“ გამოვეცი — რომანი და მოთხრობები 35 თაბახი. 10,000 ტირაჟით, თითო 10 ლარი. სწრაფად გაიყიდა. (მაშინ ჯერ კიდევ უყვარდათ წიგნები.) საკმაო თანხა დაგროვდა. ვიფიქრე ავშენდები-თქო... როგორც შენ არ აგიღია კაპიკი, არც მე... სალაროში გადარიცხეს. იქედან რომელიღაც ფირმაში. მოკლედ, გაქრა!“**

არ მპასუხობს. ჩემი „მინიშნებები“ ვერ გაიგო, უმალ დაივიწყა. სამაგიეროდ საკუთარი თავის წარდგენა არ ეშლება, ყველა რეგალიებით წარმომიდგა... აშკარად იწონებს თავს! **„რაც შეეხება ჰონორარს, სულ არ არის მნიშვნელოვანიო“** მწერს: **„ჰონორარი რა უსამართლოდაც არ უნდა ჩაეჯიბებინა ვინმეს, სულ არ არის მნიშვნელოვანი. ჰონორარისთვის ვინ წერს. ან რა შუაშია. წერა რომ გდომებოდათ, გააგრძელებდით. არც ჰონორარი არც პრიზი და პრემია არ არის საჭირო იმისთვის რომ მწერალი გერქვას“.**

ლეილა მესხი: **„რაკი ასეა, ვაგრძელებ კამათს, როგორ დამავიწყდა, თქვენ ხომ დიდი მოგზაური ქალბატონი ბრძანდებით, ყველგან გიწვევენ, გთარგმნიან. წესიერად არ დაგიმთავრებიათ „შედევრი“ და უკვე გამოცემული გაქვთ. ვიცნობ იმ ხალხს ვინც თქვენთვის იღწვის, უფრო სწორად, გასამჯელოსთვის... მე მათი ნიჭი მენანება, თორემ მოვა დრო და ან ფული არ გექნება, (ხაზინა გაკოტრდება) ან თავად შეეშვები წერას.“**

თეონა დოლენჯაშვილი: **„რომელ ფულს? რომელი ფულიანი მე მნახეთ აჰაჰაა. ძალიან სასაცილოა. საავტოროს და წიგნების ჰონორარს იქით მიხდიან. ველოდი რომ შეურაცხყოფაზე გადახვიდოდით. ბრავო აბა თქვენ იცით. მეტი სიძულვილის და ზიზღის ენა ძალიან გამშვენებთ. მით უფრო როგორც ხელოვნების „დამფასებელს“ ნამდვილად აღარ მოვცდები აქ თქვენთან საუბრით. სულ კარგად ბრძანდებოდეთ!“**

ლეილა მესხი: **„რატომ გარბიხართ? თუ კამათია, კამათი იყოს... რაც შეეხება პრემიას, ჩვენთვის ვინ გაიმეტებს, იქ თქვენ ზიხართ დედოფლად, გრძელფეხება, შხვართალა ქალბატონი... რაც შეეხება პროზაში შედევრებს, უდაოდ მოიკოჭლებთ. ხოლო ჩვენ, პონორარს საერთოდ არ გვიხდიან, არც პრემიებში იძლევიან თანხას. ეს შენისთანებმა დაითრიეს ოქროს ყულაბა... მაშ როგორ, ხომ უნდა იგრიალოთ წყვილ-წყვილად... ქვეყანა ასახელოთ!“**

მალე ქალბატონი ნინო დარბაისელი შემოგვიერთდა... („აგორას“ ხელმძღვანელი, ამერიკაში მცხოვრები, პოეტი ქალბატონი“, **ახლა წავიკითხე ყველაფერი და იძულებული ვარ, დავბლოკო ფრიად პატივსაცემი ქალბატონი ლეილა მესხი, ხოლო ავტორს საჯაროდ მოვუხადო ბოდიში, რომ მოდერაციის არადროულობის გამო დისკომფორტულ სიტუაციაში აღმოჩნდა.“** (მკაცრი ტონი აქვს!)

თეონა დოლენჯაშვილი: **„არ არის პრობლემა, ნინო. არც არავის დაბლოკვა გვინდა. საერთოდ მიჩვეული ვარ ასეთ თავდასხმებს და მართლა არ მწყინს. მთავარია წაიკითხონ ადამიანებმა და თუნდაც აგრესიას ავიტანთ მეც არ უნდა ავყოლოდი...“**

როგორი ტაქტიანი ხარ თეონა, ზრდილი... მე კიდევ,... წაგებული ომი, უარესად წავაგე...... „აგორას“ სიიდან ამომიღეს, ჯგუფის წევრი აღარა ვარ!

აი, ასეთია, ამათი გაგებით, სიტყვის თავისუფლება...

კიდევ კარგი, 37-იანი წლები რომ აღარ არის, თორემ „აგორადან“ გაძევებას ვინ მაკმარებდა, ალბათ, დამხვრეტდნენ...

2021 წ. 28 ნოემბერი



# სექტა, სექტანტები და „რადიაქტიული ნაღმი“

კითხვები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას, ჩამოსვლის მიზეზებს და სავარაუდო თუ უკვე დამდგარ შედეგებს უკავშირდება, ბევრია და ყველა მათგანზე საზოგადოებაში პასუხები დღემდე არ არსებობს.

ჩემი კონფიდენციალური ინფორმატორი, რომელიც უცხოეთიდან დამიკავშირდა, ოფიციალურ სტრუქტურაში მუშაობს და მოქმედი ქართველი პოლიტიკოსია.

მისი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილს, სავარაუდოდ, ვიღაცები უკავშირდებოდნენ უკრაინაში, აგულიანებდნენ და სთავაზობდნენ საქართველოში დაბრუნების გეგმებს.

ყველას გვახსოვს, სააკაშვილმა ჩამოსვლამდე არაერთხელ ამცნო თავის მომხრეებს არა ახლა ჩამოვდივარ, არა — ახლაო. ეს მითითება იყო. ეუბნებოდნენ: გამოაცხადე, რომ ჩამოდიხარ, სიტუაცია მზადააო, მერე ატყობინებდნენ, რომ გეგმები და სიტუაცია შეიცვალა და ჯერ არ იყო ამის დრო.

ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს ეკონტაქტებოდნენ, ძველი ხელისუფლების დროინდელი კადრებია. ისინი პირადი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ ასე, თორემ სააკაშვილი დიდად არავის ეხატება გულზე. ხომ ხედავთ, ოპოზიციაში რა ხდება, ყველა მომავალი, შესაძლო თანამდებობებისთვის იბრძვის და სააკაშვილის ფაქტორს ყველა სათავისოდ იყენებს. თვითონ ნიკანორ მელიაც დაიღალა ამდენი ბრძოლით, ბოლოს და ბოლოს, ტაისონი დაიღალა და მელიასაც მობეზრდა ცემა-ტყეპა და ხელჩართული ომი.




პირადად მე, ისევე როგორც ჩვენმა უწყებამ, დღემდე არ ვიცით, საიდან და როგორ შემოვიდა სააკაშვილი საქართველოში, ამ საქმეში რუსების ხელი ურევია, მაგრამ მთავარი ბიძგის მიმცემი მაინც ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული ძალებია. მათ გადაწყვიტეს ამ ეტაპისთვის, ანუ წინასაარჩევნოდ, სააკაშვილი საქართველოში გამოეშვათ, რადგან ძალიან იყო აჭრილი პოლიტიკური ველი და გარკვეული ფაქტორი იყო საჭირო სიტუაციის „დასალაგებლად“.

სააკაშვილის ჩამოსვლამ გააერთიანა „ოცნებაზე“ ნაწყენი ელექტორატი და გააერთიანა მანამდე დაქსაქსული „ნაცმოძრაობაც“ თავიანთი ბელადის გარშემო. „ნაცმოძრაობის“ ბირთვში, როგორც ვხედავთ, ის ძალები არიან, რომლებიც წინა მთავრობის თანამდებობის პირები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ძალაუფლების დაკარგვას დღემდე ვერ შეეგუენ. ამას დამატებული სააკაშვილის ფანები, ჩვენი ამორჩევლის 0,03%, ანუ ის ხალხი, რომლებიც აქციებზე იდგნენ ოპოზიციასთან ერთად. ეს 0,03% სწორედაც სექტაა, თუმცა ნუ გვეჩვენება, რომ ბევრნი არიან. როგორც მეუფე ნარიმანს ჰყავს მორჩილ სექტანტთა ბრბო, ასევე არიან ესენიც.




სააკაშვილის ჩამოსვლამ, საბოლოო ჯამში, ვიღაცებისთვის პოზიტიური როლი ითამაშა იმდენად, რამდენადაც ქართული პოლიტიკური სპექტრი ახლა უფრო პოლარიზებული გახდა და ასე ვთქვათ, შუა გაიკრიფა. სავარაუდოდ, ქვეყნის გარეთა ძალებს კოალიციური მთავრობის მოსამზადებელ პერიოდში სჭირდებათ საქართველოში ამ ტიპის პოლარიზებული პოლიტიკური გარემო მომავალ არჩევნებამდე.

რაც შეეხება კოალიციურ მთავრობას, ეს რომ საქართველოსთვის საბოლოოდ დამღუპველი იქნება, ამაზე ახლა აღარ ვილაპარაკებ.

თავად სააკაშვილი, ცხადია, ვერ წარმოიდგენდა მოვლენების ასე განვითარებას. რა თქმა უნდა, მიხეილი ციხეში ჩაჯდომას არც აპირებდა, არც გეგმავდა და არც უფიქრია ამაზე. ის უცებ დადგა რეალობის წინაშე, რაც პირდაპირ შოკი იყო მისთვის.

აქვე ვიტყვი, რომ მას, რა თქმა უნდა, ერთი დღეც კი არ უშიმშილია, თუმცა შიმშილიც აქ არაფერ შუაშია. დამტკიცებულია, რომ სააკაშვილი დაავადებულია კლაუსტროფობიით და ციხის საკანში ყოფნას შეშლილობამდე მიჰყავს.

სანდრა რულოვსი ისეა მასზე გაბრაზებული, მისი დანახვაც არ უნდა. მიშა რომ დაიჭირეს, მაშინაც იცოდა იასკოსთან მისი კავშირის შესახებ, მაგრამ შვილებს, ოჯახს, მომხრეებს გაუწია ანგარიში და ჩამოვიდა, მაგრამ გიული ალასანიას მთელი ყურადღება ლიზა იასკოსკენ ჰქონდა გადატანილი, ყოველ წუთს ტელეფონზე ელაპარაკებოდა, რადგან ქალბატონ გიულის მისი შვილის დახსნის საქმეში ახლა იასკოს იმედი უფრო აქვს, ვიდრე სანდრა რულოვსის და სანდრა საერთოდ უგულებელყოფილი დარჩა უყურადღებოდ, თავი არასაჭიროდ იგრძნო და მალევე გაფრინდა საქართველოდან.

სანდრა რულოვსმა შესანიშნავად იცოდა სოფიო ნიჟარაძისა და საკუთარი მეუღლის რომანის შესახებ.

თავად სოფიო ოჯახის გაერთიანებას აპირებდა და ამერიკიდან ბავშვთან ერთად უკრაინაში გადმოსვლას გეგმავდა. პატარა ელის-მარია სააკაშვილისთვის ცხოვრების ნორმალური პირობები რომ შეექმნთ, დედა და მამა — მიშა და სოფო თითქოს ერთად ეძებდნენ შესაფერის საცხოვრებელ სახლს უკრაინაში, რომ უცაბედად ლიზა იასკო გამოჩნდა. უცაბედად სოფიოსთვის, თორემ არ მგონია სააკაშვილისთვის ლიზა მოულოდნელი „სიხარული“ ყოფილიყო.

დანა პირს არ უხსნის სოფო ნიჟარაძეს, სააკაშვილის დანახვაც არ უნდაო, მიყვება ჩემი თანამოსაუბრე.

რაც შეეხება სააკაშვილის მომავალს. ის დიდხანს საკანში ვერ გაძლებს, თანაც, როგორც არ უნდა გაჩუმდეს და მორჩილი პატიმარიც იყოს, სააკაშვილი საქართველოში არის ნაღმი, რომელიც, რა საშუალებებიც ხელთ მოგხვდება, ის უნდა გამოიყენო და გაიყვანო ქვეყნიდან.

ჩვენი ხელისუფლება, სავარაუდოდ, ასეც მოიქცევა და მას სამკურნალოდ, ან სხვა „საპატიო“ მიზეზით, საზღვარგარეთ გააგზავნის, სადაც, რამდენიმე თვეში, გათავისუფლდება, ალბათ.

სააკაშვილი ნარცისია. მას არავითარი პოლიტიკური მიზნები და იდეალები არ გააჩნია.

რომ ამბობენ, შევარდნაძისდროინდელი დაქცეული საქართველო ფეხზე წამოაყენაო, ინვესტიცია, დონაცია, ფინანსური დახმარებები შევარდნაძის დროსაც იყო და უკვე სტაბილურდებოდა პოლიტიკური გარემო, პარტნიორული ურთიერთობები, იკვეთებოდა პოლიტიკური ინტერესები და, ცხადია, ის თანხები დახმარების სახით ისედაც შემოვიდოდა ქვეყანაში, რომელზეც ამბობენ, სააკაშვილმა მოიზიდა და გზები დააგოო. ამ თანხების დიდი ნაწილი რომ ნაცების ჯიბეებში წავიდა, ეს სხვა საქმეა. პრეზიდენტობისას სააკაშვილი, რომ იტყვიან, „გულაობდა“, მე კარგად ვიცნობ მას და შემიძლია ვთქვა, ის განუვითარებელი, მაპატიეთ და, ცხოველის დონეზე მყოფი კაცი და ინსტინქტების მონაა.

მე არ მეჯავრება ის, გარკვეულ დროს მასთანაც ვიმუშავე ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურში. ჩვენ კონფლიქტი არასდროს გვქონია, მე, უბრალოდ, გეუბნებით იმას, რაც არის სიმართლე.

მას ყოველთვის ეზარებოდა აზროვნება და მართვის გარკვეული ნაწილი მერაბიშვილისთვის ჰქონდა მინდობილი, ნაწილი — ადეიშვილისთვის. თვითონ თავს არაფერზე არ იწუხებდა, მეფესავით იყო, ვეზირები ჰყავდა და მათ აკეთებინებდა ყველაფერს.

გაიხსენეთ, რა თქვა ამ დღეებში სააკაშვილის ვაჟმა ედუარდმა: მირჩევნოდა, მამაჩემი ამერიკაში დარჩენილიყოო.

მიხეილს შესანიშნავ ადგილს სთავაზობდნენ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო კოლეჯში ლექტორის პოზიციაზე, სადაც წყნარად იქნებოდა და სოლიდურ ანაზღაურებასაც მიიღებდა, მაგრამ მან ეს არ ისურვა. საკუთარი ამბიციები ვერ მოთოკა და ასე ვთქვათ, შარში აღმოჩნდა, რაც მისთვის და მისი პოლიტიკური ისტორიისთვის მთლად სახარბიელო არ უნდა იყოსო, — დასძინა ჩემმა ინფორმატორმა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, არაპროგნოზირებადი და „რადიაქტიული“ „ნაღმის“ მოქმედებებს ფხიზლად ვადევნოთ თვალი, სანამ ამ საშიშროებას ქვეყანა, განგების ძალით, როგორმე მოიშორებს, რომ სახელმწიფომ ნორმალური განვითარება შეძლოს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## სამძიმარი



**კიდევ ერთმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა,**
**ვახტანგ (ვახო) ჩაფიძემ გადაინაცვლა მარადისობაში!**
**ეს გზა, მან თავისი ცხოვრების წესით დაიმსახურა.**
**2019 წელს, 65 წლის იუბილეზე, მეგობრებმა, ვახტანგის მთავლიტში მუშაობის პერიოდი და 1989 წლის 9 აპრილი გავიხსენეთ. მის თვალწინ გაიარა იმ ღამის ჯოჯოხეთმა და ბოლო დღემდე ატარა იქ მიღებული ფიზიკური ტრავმა. 1989 წლის 14 აპრილს ვახტანგის ხელმოწერით გამოვიდა გაზეთი, სადაც იური როსტის სურათები გამოქვეყნდა და მთელმა ქვეყანამ შეიტყო იმ ღამის საშინელების შესახებ.**
**გმირობის ტოლფასი იყო მაშინ ეს ამბავი!**
**ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, ძმაო და მეგობარო!**

**მეგობრები**

## ალეკო ბელთაძე



# ლექსები

### ბედი მხიბლავს მწყემსის მარტო

აქ, სივრცეს და კედელ- ყურეს,
ყველგან სისხლი სცხია ქრისტეს,
ის, რაც, ბაგრატს დაახურეს,
ნაცვლად გელათს გადაქიშტეს.
გულთა შორის ვინც წვავს ბონდებს,
მაცხოვრისაც დაგმობს ბზობას
რა სიკეთე უნდა ჰქონდეს,
ასჯერ მჭრელს და ერთხელ მზომავს.
ათამაშებს დრო კვლავ კუნთებს,
კვლავ ცბიერი ცრუობს ურცხვად,
გულუბრყვილო სანთელს უნთებს,
მგლის სიკვდილს და ცხვრების კურცხალს.
ვეღარ იტევს სათვალავი,
გაიძვერა ამდენ მზვერავს,
უჩინარი ყორნის თვალი,
არ აშორებს მამულს მზერას.
ძველი ღვინით ისევ ვთვრები,
ვერ ვუწონებ გრადუსს ახლებს,
ისწორებენ შუბლზე მთები,
ნისლით წაკრულ ყაბალახებს.
სხვა რა დარდი დავიმატო...
ბევრის მომსწრეს, ბევრის მნახველს-
ბედი მხიბლავს, მწყემსის მარტო,
ჭრელ ნახირს რომ აბალახებს.

### საწუთროო ძველო ოინბაზო

ქარავანი კვლავ თავის გზით მიდის,
როდის ღლიდა, ჟამი კუდის ქიცინს,
ერთგულებას, ხან ღალატი ყიდის,
და ხან ღალატს, ერთგულების ფიცი.
ვერ მიხვდები, რაისთვისღა ბრაზობს,
მერამდენედ მოქნეული სახრე,
საწუთროო, ძველო ოინბაზო,
ყველა შენი დაგებული მახე
ბევრჯერ ვნახე, ბევრსაც აწი ველი,
იმ ჯოჯოხეთს, ვიდრე არის დანტეს,
ამაოა, შენი პონტოელი,
საწუთროო, შენი მითრიდატეც.
ახლაც შენი სისაძაგლით ვიცრი,
კაცი არ ყავს, სათიბსა და სამკალს,
კუბოსათვის შესაჭედი ფიცრით,
ურდულს ვადებ, მიტოვებულ სახლ-კარს.
ამ სიშლეგით, ადუღებულ ბრბოში,
ნეტავ რას ვგმობ, ნეტავი რას ვიცავ,
რომ ხორველა დამართებულ დროში,
ერიც, ბერიც, შხამ-სამსალად იქცა.
ფარისევლურ ქადაგება-ლოცვას,
გიორგობა აშიშვლებს და აჭკნობს,
საეროს რა დავუჯერო როცა
მოძღვრის სიტყვაც მაცხოვარით ვაჭრობს.
სინათლესაც ჩაუცვია ბნელი,
საუკუნედ წარმოვიდგენ ამ წამს,
მე სიკვდილით დაბადებას ველი,
სიცოცხლეში დაბადების არ მწამს.

### რუსთაველის ქვეყანაში

ახალ ათონს, ძველ მადათოვს,
ვინც კი ახელს, თვალებს ფართოდ,
გადაქცეულს ქართველების,
დაუნდობელ საჯალათოდ,
განზე მდგომს თუ, მქონეს ხოშის,
ადევს უცხო კრემისფერი,
არც მახვში ყავს საფიხვნოში,
არც თეთრწვერა ხევისბერი.
შიშველ ტანზე, სახრეს ვიმტვრევ,
მხცოვანს დევნის ტლუ და ნორჩი,
ვაი, ჩემო ოჩოპინტრე,
უი, ჩემო ოჩოკოჩი.
ყველა მქისე, თავს ხსნის ქისებს,
ყველა ბერწი, ჩვენთან მაკობს,
ჩვენთან ხდება, ყრუ რომ გისმენს,
და მუნჯები ლაპარაკობს.
ყველა მეფეს, მეფისნაცვალს,
ქატოდ რომ ფქვავს, ფეტვის მარცვალს,
ვიცი ხვალაც, დედის ნაცვლად,
დაიფიცებს დედინაცვალს.
ნება-ნება გაშიშვლება,
ღირსეულსაც აღარ არცხვენს,
ერთმანეთი არ ელევა,
აღმა მხვნელს და დაღმა მფარცხველს.
უფრო მზარავს, არ გვიფარავს,
უფლის კალთა კიდით-კიდე,
ჭირი ჭირსა მოგვესართა,
ამდენ გიჟის გადამკიდეს.
აღარც თოფი, აღარც რაში,
მკაში, ხვნაში, დარ-ავდარში,
წალმართი არ დაგვრჩა ვინმე,
რუსთაველის ქვეყანაში.

### ერთ ლექსს ვნატრობ

იმდაგვარ ლექსს ვნატრობ ამ დროს,
ჯიქეთიდან მისწვდეს ყადორს.
ქედ-დადრეკით ღაღადისმა,
მსმენელს ყელი გამოღადროს.
ხათრი დამდოს,
არ დამაგდოს,
სახნისივით ძველ ლაფაროს,
გარდასული წლების ხსოვნა,
ნაბადივით დამაფაროს.
ცრემლის მხოცველ-
მრევლს და მლოცველს,
წამიქცევდეს ჭიქა ღვინოს,
ამილახვრის ციხე მომცეს,
მოურავად დამადგინოს.
ლოცვა საროსს...
არ მაკმაროს,
წახემსება ღოლო- ღვალოს,
გამოკეტილ ძველ ჭიშკართან,
ხარ- ხბოსავით ამაბღავლოს.
ჩეროს...მდელოს...
მომაფეროს-
აქით მამფალს, იქით კინტოს,
დადუმებულ სამრეკლოზე,
დედო ზარი დამიკიდოს.
ვინაც ფლიდობს...
განმარიდოს -
ვინც საკუთარს აღარ ინდობს,
ალგეთს დაზრდილ, მგლების ლეკვებს,
ახსენებდეს: ღლიღვს და დიდოს...
უცხოს!...
თაფლად არ წაუცხოს,
სილამაზე შატილ-მუცოს,
გელათი და მცხეთა ერთად,
ფსალმუნივით გადაფურცლოს
ვხვნეში...
მივალ აწი ხნეში.
აღარ ვგუობ სხვა განაჩენს,
ერთ ლექსს ვნატრობ სიცოცხლეში,
სიკვდილშიც რომ გადამარჩენს.

### შაითან თვალით

ივრის ზემოწელს ერწოა,
ლომისს იფიცებს მთიული,
სიცოცხლე-ერთი ბეწოა,
სიკვდილი- მარადიული.
ლიბო თუ ჩამოშლილია,
ფასიც არა აქვს კუნელის,
ლამაზი-წლების შვილია,
მახინჯი-საუკუნენის.
საბედილბალო მარწუხებს,
როდი ბოჭავდა იდეა-
მაღალს რა შიშიც აწუხებს,
დაბალს სულ ფეხზე ჰკიდია.
ქება-ძრახვების პირმდენი,
ვერც სტრიქონიდან მოვკვეთე,
ბრძენს რაც მტერი ჰყავს იმდენი,
სულელს აკვრია მოკეთედ.
დაცემული აქვს თავზარი,
მახათას მთას და ელიას,
თუ მაძღრისაა ტაძარი,
მშიერის-ცივი კელია.
ეცადოს, როგორ ამოთხრის,
ჯოჯოხეთ ამონახველი,
არარსებული სამოთხის,
არარსებული მნახველი.
არადა, ვით ვთქვა ფლიდია,
ორთავეს ჭირისუფალი,
როცა ერთ გზაზე მიდიან,
ეშმაკიცა და უფალი.

### მარტოობა-სფინქსი და კართაგენი

ყოფნაც გასხლული ვაზის ლერწია,
მიტკლის მითელში, მთები სახლობენ,
ვაი, რა ცუდ დროს წამომეწია,
შენთან სიშორე და სიახლოვე.
ვივსებ ფიალებს პირგამეხებით,
და რომ მგონია, ჩიტი მზეწვია,
ღამე! რომელსაც ხელით ვეხები,
თურმე ცოცხალი დათვის ბეწვია.
სულ ნაკუწ-წაკუწ დავერიგები,
გრძნობებს, შენსავით მეც რომ მახმობენ,
ღრიჭო კარებში სევდის რიგები,
სულის ხრიოკებს დაბალახობენ.
აღარ მოველი აწი ძველ ალერსს,
დაკიდებია დუმილს ზარები,
და მარტოობას — ჩემს ძველ კავალერს,
ხელს ჩავკიდებ და გავემართები,
იქ სადაც ყოფნა უყვართ კესანებს,
სადაც არ ახლავს, გულს და გზას ხინჯი,
სადაც წყვილებში არ დგას მესამე,
არც ანგელოსი და არც მახინჯი.
სად ვერ მოქსელავს ბადეს ობობა,
არ იდორბლება შხამით ბაგენი
და ერთდროულად ეს მარტოობა —
ხან სფინქსია და ხან კართაგენი.

# ნობელის პრემიის ლაურეატები, რომლებმაც ნაცისტებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს

**ამ ბოლო დროს, როდესაც ისტორიკოსებმა ბიოგრაფიების გამოწვლილვით შესწავლა დაიწყეს, ბევრი ცნობილი ადამიანის სახელს მიადგა ჩრდილი. აღმოჩნდა, რომ ედიტ პიაფი საკონცენტრაციო ბანაკებში კონცერტებს სულაც არ მართავდა ტყვეების დასახმარებლად; კოკო შანელი მესამე რაიხის სასარგებლოდ ჯაშუშობდა; ევროპის ბევრი ცნობილი ფირმა ჰიტლერის შეკვეთებს ასრულებდა და ტყვეებისა და აღმოსავლეთიდან ჩაყვანილი მონების შრომას იყენებდა...**

**და მაინც, ბევრმა ცნობილმა ადამიანმა, რომელთა იმედიც ნაცისტებს მათი არიული წარმომავლობის გამო ჰქონდათ, მესამე რაიხთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა...**



## სელმა ლაგერლოფი

ბავშვების საყვარელი ერთ-ერთი ისტორიის ავტორს, რომელიც ბიჭუნა ნილსისა და ველური ბატების მოგზაურობის ამბავს მოგვითხრობს, ნაციზმის იდეოლოგები ძალიან აფასებდნენ თავისი წიგნების გამო, რითაც მან პოპულარული გახადა სკანდინავიური, „ჭეშმარიტად არიული“ ფოლკლორი და კულტურა.



როცა ოცდაათიან წლებში დადგა საკითხი იმის შესახებ, ვინ იქნებოდა ჭეშმარიტად ნორდული რასის წარმომადგენელი, ვისი წიგნებიც მესამე რაიხში დაიბეჭდებოდა (წიგნების უმრავლესობა იდეოლოგიურად მავნედ აღიარეს და გაანადგურეს), სელმა ლაგერლოფი პირველი აღმოჩნდა იმ კანდიდატებს შორის, რომლებსაც ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის პატივი უნდა რგებოდა.

ლაგერლოფის წიგნებს რეკომენდაციას უწევდნენ, რათა ისინი გერმანელ ბავშვებს წაეკითხათ, ხოლო ნაცისტური პრესა მას ქება-დიდებას ასხამდა, როგორც ჩრდილოელ პოეტესას. მაგრამ ძალიან მალე ნაცისტ იდეოლოგებს ქერათმიანმა შვედმა ქალბატონმა იმედები გაუცრუა და ისინი იძულებული გახდნენ, ისე მოქცეულიყვნენ, ვითომ ის საერთოდ არ არსებობდა.

სელმა, სადაც მოახელთებდა, ებრაელებისა და მესამე რაიხის მიერ ჩაგრული სხვა ხალხების დასაცავად გამოდიოდა. მან შეძლო გაეკეთებინა შვედეთის ვიზა პოეტესა ნელი ზაქსისა და მისი დედისთვის, რითიც მათი სიცოცხლე გადაარჩინა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის ლაგერლოფი უკვე იყო ნობელის პრემიის ლაურეატი, ზაქსმა კი ის მოგვიანებით მოიპოვა. ლაგერლოფის ერთ-ერთი წიგნის მიხედვით გადაიღეს ფილმი, რომელშიც მონაწილეობა გრეტა გარბომ მიიღო. მსახიობმა ბევრჯერ უთხრა უარი ჰიტლერს მესამე რაიხში გადაღებებზე. მოგვიანებით გარბო ამას ნანობდა, იქნებ, ჰიტლერის მოკვლის შანსი მომცემოდაო...

პოლიტიკური მკვლელობის ნაცვლად, გრეტა გარბომ ნაცისტურ ქარხანაზე დივერსია მოაწყო, რამაც ევროპის ანტიჰიტლერული მოკავშირე ქვეყნები ჰიროსიმასა და ნაგასაკის გამეორებისგან გადაარჩინა. გარდა ამისა, გარბო ორგანიზებას უწევდა და ეხმარებოდა ებრაელებს ნეიტრალურ შვედეთში გადასვლაში.

## ჰერმან ჰესე

ნაცისტები იმედს ამყარებდნენ, რომ არიული გონის სიძლიერის წარმოჩენაზე დათანხმდებოდა გერმანელი კლასიკოსი ჰერმან ჰესე, რომელიც ნეიტრალურ შვედეთში გადავიდა საცხოვრებლად და ინგლისელი მწერალი ჯონ ტოლკინი, რომელსაც გერმანული ფესვები ჰქონდა. ორივეს წერილი გაუგზავნეს, რომ მათ დაედასტურებინათ თავიანთი არიული წარმომავლობა. ამით მათ გერმანულ გამომცემლობებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა მიეცემოდათ.



ჰესემ უბრალოდ უპასუხოდ დატოვა წერილი. ამის შემდეგ გერმანიაში მისი წიგნების გამოცემა შეწყდა, პერიოდული გამოცემები სტატიებს აღარ უბეჭდავდნენ. ტოლკინმა კი უპასუხა, რომ ძალიან ნანობდა, ებრაული სისხლი რომ არ ჰქონდა.

ჰერმან ჰესე ნობელის პრემიის ლაურეატი ომის შემდეგ გახდა, ჯონ ტოლკინი კი ნომინირებული იყო ამ პრემიაზე სამოციანების დასაწყისში, მაგრამ ვერ მოიპოვა.

უნდა ითქვას, რომ ჰესემ მხოლოდ უარი კი არ თქვა სამშობლოში წიგნების გამოცემაზე, ის მუდმივად აძლევდა თავშესაფარს ცნობილ ადამიანებს, რომლებმაც მესამე რაიხიდან თავის დაღწევა შეძლეს.

## ნილს ბორი

ნაცისტები უარს არ ამბობდნენ იმ შერეული სისხლის გერმანელებთან თანამშრომლობაზე, რომლებსაც ებრაული სისხლიც ერიათ, თუ მათგან სარგებლის ნახვა შეეძლოთ. ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ, ამბობდნენ, რომ მათში არიულმა საწყისმა გაიმარჯვა... ასეთად მოიაზრებოდა ნილს ბორიც. როცა დანია გერმანულმა ჯარებმა დაიკავეს, ბორს ატომური ბომბის შექმნაში თანამშრომლობა შესთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერს დაპატიმრება და ბანაკში გაგზავნა ემუქრებოდა წარმომავლობის გამო, ბორმა რაიხთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

მოგვიანებით, გრეტა გარბოს დახმარებით, ბორი შვედეთში გადაიყვანეს, შემდეგ კი ბრიტანეთში, სადაც ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვებისთვის მუშაობაში ჩაერთო.

## თომას მანი

ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს, როცა ხელისუფლებაში ნაცისტები მოვიდნენ, იმ დროისთვის უკვე ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი თომას მანი ოჯახთან ერთად შვეიცარიაში გაემგზავრა. სამი წლის შემდეგ, როცა ნაცისტები მიხვდნენ, რაოდენ დიდი იყო იმ ცნობილი ადამიანების დანაკარგი, რომლებსაც შეეძლოთ გერმანიის სახე ყოფილიყვნენ, ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მწერალი, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო.



მანმა პრინციპული უარი განაცხადა დაბრუნებაზე. მას და მთელ მის ოჯახს გერმანიის მოქალაქეობა ჩამოერთვათ. ორი წელი თომას მანი ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე იყო, მერე კი ახლობლებთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა, საიდანაც ანტიფაშისტური რადიოგადაცემები მიჰყავდა.

## მეფე ხოკონი

ნორვეგიაში გერმანიის ჯარების შესვლის დროისთვის, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, რომ არაფერს ავნებდნენ, სამეფო ტახტზე ხოკონ VII იჯდა. ნაცისტები ხვდებოდნენ, როგორი მნიშვნელოვანი იყო ეს ფიგურა ნორვეგიელებისთვის. მათ გადაწყვიტეს დაეყოლიებინათ მეფე, რათა მთავრობის მეთაურად მესამე რაიხის წარმომადგენელი გამოეცხადებინა.

მეფემ პასუხი თავიდან აირიდა და განაცხადა, რომ მთავრობას უნდა მოთათბირებოდა. გერმანელებმა ამის შესაძლებლობა მისცეს. მეფე და მთავრობის წევრები მოშორებით პატარა ქალაქში გაემგზავრნენ. იქიდან კი გაავრცელეს რადიომიმართვა, რომლითაც მოუწოდებდნენ ნორვეგიელებს, მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ ოკუპანტებისთვის. ამის შემდეგ ხოკონი და მთავრობის წევრები ტყეში წავიდნენ, რათა მათ გამო ადგილობრივი მოსახლეობა არ დაზარალებულიყო.

გერმანელებმა ქალაქი დაბომბეს და დახვრიტეს ყველა მცხოვრები. გადარჩნენ მხოლოდ მეფე ხოკონი და მთავრობის წევრები, რომლებიც ფაშისტების ანგარიშსწორების მომსწრე გახდნენ. ისინი მთებში წავიდნენ, ნორვეგიელებმა კი გერმანელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მოგვიანებით მეფისა და მისი ვაჟის ლონდონში ევაკუირება მოხერდა. ბრიტანეთიდან მეფე რადიოთი ეხმიანებოდა და ამხნევებდა თანამემამულეებს, მას სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

მეფე ხოკონს ნობელის პრემია არ მიუღია, მაგრამ ომის შემდეგ ისრაელმა მთელი ქვეყანა წმინდანების ერად გამოაცხადა...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99